პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 267 (12779) | შაბათი, 16 ნოემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

შრომითი გამარჯვებების პატაკები

□ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს მიულოცეს სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სამშობლოს ბეღლებში ჩაყარეს 6 მილიონ 635 ათასი ფუთი პური, ანუ გეგმით დაწესებულზე 225 ათასი ფუთით მეტი.

□ კოსტრომის ოლქის სოფლის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 1 მილიონ 913 ათასი ფუთი მარცვალი, რაც 692 ათასი ფუთით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიულოცეს ოლქის მხვნელ-მთესველებს მიღწეული წარმატება. (საკდესი).

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1964-1965 წლებში მარცვლის წარმოების გაადიდების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიმდინარე წელს რამდენადმე გაადიდეს მარცვლის წარმოება. მაგრამ მიღწეული დონე როდი შეესაბამება რესპუბლიკის წინაშე დასახულ ამოცანებს.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელ რიგ საწარმოო სამმართველოებში ჯერ კიდევ არ უომობენ საკმარის ყურადღებას მარცვლეული კულტურების, როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის, მოსავლიანობის გადიდებას. მთლიანად არ აუთვისებიათ ისეთი რეზერვები, როგორიც არის სარწყავი მიწების ეფექტიანი და სრული გამოყენება, მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობების გადიდება გამოუყენებელი სახნავების ხარჯზე, ადგილობრივი მინერალური სასუქებისა და ჰერბიციდების ფართოდ გამოყენება.

უკანასკნელ წლებში გურჯაანის, ბოლნისის, თელავის, ყვარლის, თეთრი წყაროსა და მთელ რიგ სხვა საწარმოო სამმართველოებში დაშვებულია მარცვლეული კულტურების ნათესების შემცირება.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ დაბალია მარცვლის მოსავლიანობა და საერთო მოსავალი. 1963 წელს რესპუბლიკაში, წინასწარი მონაცემებით, თავთავიანი კულტურების მარცვლის მოსავლიანობამ საშუალოდ ჰექტარზე შეადგინა 12 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13 ცენტნერისა. დაბალია აგრეთვე მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა სარწყავ მიწებზეც. მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მარცვლეულს არაკონდიციური თესლით თესავენ, არღვევენ თესვისა და ნათესების დამუშავების ვადებს. ბევრი საწარმოო სამმართველო, პარტიული და საბჭოთა ორგანო, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნაკლებ ყურადღებას უთმობს სარწყავი მიწების რაციონალურ გამოყენებას. რესპუბლიკაში ბუნებრივ სათიბებსა და საძოვრებს 40 ათას ჰექტარამდე სარწყავი მიწები უჭირავს, აქედან გარდაბნის სამმართველოში — 5,6 ათასი ჰექტარი, თელავის სამმართველოში — 2,4, გორის სამმართველოში — 4,4, წყალტუბოს სამმართველოში — 3,7, სამტრედიის სამმართველოში — 2,6 ათასი ჰექტარი და ა. შ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის იმ მითითებათა განსახორციელებლად, რომ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მარცვლეული კულტურებისათვის გამოიყენონ სულ ცოტა 100 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები და მკვეთრად გაადიდონ მარცვლის წარმოება, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინეს:

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ძირითად ამოცანად ჩაითვალოს მარცვლეულის მეურნეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იმ გზით, რომ უფრო სწორად გამოიყენონ მაღალი აგროტექნიკის ბაზაზე მარცვლის წარმოების გადიდების ყველა შესაძლებლობა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მარცვლის წარმოება 1964 წელს გაადიდონ 900 ათას ტონამდე და 1965 წელს — ერთ მილიონ ტონამდე და უზრუნველყონ მარცვლის დამზადება 1964 წელს 13,5 მილიონი ფუთის, ხოლო 1965 წელს — 15 მილიონი ფუთის ოდენობით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დაეთანხმნენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოო სამმართველოების წინადადებას, რომ მარცვლეული კულტურების ნათესები 1964 წელს გაადიდონ 485,8 ათას ჰექტარამდე, მათ შორის სარწყავ მიწებზე — 130 ათას ჰექტარამდე (აქედან, „უფხო-1“ ჯიშის ხორბლისა — 70 ათას ჰექტარამდე), ხოლო 1965 წელს — 500 ათას ჰექტარამდე, მათ შორის სარწყავ მიწებზე — 141,6 ათას ჰექტარამდე (აქედან „უფხო-1“ ჯიშის ხორბლისა — 96,8 ათას ჰექტარამდე);

მნიშვნელოვნად გადიდდეს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა და საერთო მოსავალი 1964 და 1965 წლებში;

1964 წელს 50 ათას ჰექტარამდე გადიდდეს ნაწვერალა და ხელახალი ნათესები (სიმინდისა და ბარდისა).

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა, რომლებმაც დასავლეთ საქართველოს პირობებში პირველად დაიწყეს მარცვლეული კულტურების თესვა მზრალად ხნულში და 1963 წელს სიმინდის უხვი მოსავალი მოიყვანეს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“, საქართველოს კპ საოლქო კომიტეტები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, პარტიული კომიტეტები და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოები მოვალენი არიან:

განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი გადიდებისათვის, მარცვლეულის ნათესების ფართობების გადიდებისათვის გამოუყენებელი სახნავების ხარჯზე და ადგილობრივი პირობების შესაბამისად გაადიდონ საშემოდგომო ხორბლის ნათესები;

უზრუნველყონ ადგილობრივი სასუქების დაგროვება და ფართოდ გამოყენება, აგრეთვე მინერალური სასუქების დროული გატანა, კარგად შენახვა და რაციონალურად გამოყენება, პირველ რიგში სარწყავ ტენით უზრუნველყოფილ ფართობებზე;

განახორციელონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ თვითეული კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა საჭირო რაოდენობით უზრუნველყონ ხარისხოვანი თესლით, რისთვისაც მოაწყონ თესლის გაწმენდა და ჯეროვნად შენახვა;

გააუმჯობესონ მემინდვრეობის ბრიგადებისა და განყოფილებების მუშაობა, აგრეთვე ხელი შეუწყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს იმ საქმეში, რომ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მატერიალური ეხალისებისათვის უხვი მოსავლის მისაღებად და მარცვლის წარმოების გეგმების გადაჭარბებით შესასრულებლად;

უზრუნველყონ მზრალად ხვნის ხარისხოვნად და დადგენილ ვადებში დამთავრება და ადგილობრივი პირობების შესაბამისად დროულად მოაწყონ საზამთრო და ადრეული საგაზაფხულო ხვნა. როგორც წესი, საშემოდგომო კულტურების თესვა, ძირითადად, აწარმოონ მზრალად ხნულსა და გულმოდგინედ მომზადებულ ადრეულ საგაზაფხულო ხნულში;

უზრუნველყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შიდასამეურნეო სარწყავი ქსელის დროულად მომზადება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესვასთან ერთად დაკვალონ დროებითი სარწყავი არხები და უზრუნველყონ სადღეღამისო რწყვა ოპტიმალურ ვადებში;

რწყვის დაწყებამდე თვითეულ მეურნეობაში შეადგინონ შიდასამეურნეო წყლის გამოყენების გეგმები და მკაცრი კონტროლი გაუწიონ ამ გეგმების განხორციელებას. უზრუნველყონ თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში ჰიდროტექნიკოსთა შტატის დაკომპლექტება, აგრეთვე სათანადო პირთა გამოყოფა კოლმეურნეობებში წყლის გამოყენების რეგულირებისათვის;

განახორციელონ ღონისძიებანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მანქანა-ტრაქტორთა პარკის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

დაკომპლექტონ კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადები და უზრუნველყონ მათი ორ ცვლად მუშაობა ისე, რომ მიაღწიონ ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სრულ გამოყენებას.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მისცეს რეკომენდაციები „უფხო-1“ ჯიშის ხორბლის თესვის ნორმების შესახებ, აგრეთვე მარცვლეული კულტურების ნათესებში მინერალური სასუქების გამოყენებისა და შეტანის შესახებ;

მოაწყონ 1964 წლის პირველ კვარტალში ერთთავიანი კურსები სარწყავი რაიონების საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მემინდვრე აგრონომთა გადასამზადებლად;

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაავალეს უზრუნველყოს სამეურნეოთაშორისო სარწყავი არხების დროული გაწმენდა და რემონტი და მეურნეობებისათვის სარწყავი წყლის რეგულარულად მიწოდება წყლის გამოყენების შიდასამეურნეო გეგმების შესაბამისად, აგრეთვე განახორციელონ კონტროლი სარწყავი წყლის რაციონალურად გამოყენებისადმი;

პრაქტიკულად დაეხმაროს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს რწყვის დროს და სისტემატურად გაუწიოს ინსტრუქტაჟი იმ მუშაკებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან წყლის სწორად გამოყენებისათვის;

საწარმოო სამმართველოებთან ერთად გამოავლინონ რწყვის პატარა ობიექტები, რომლებიც დიდ კაპიტალურ დაბანდებებს არ მოითხოვენ, შეიმუშაონ ღონისძიებანი და ტექნიკური დახმარება გაუწიონ მეურნეობებს ამ ღონისძიებათა განხორციელებაში.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პირველი რიგის ამოცანად მიანიჭეთ კოლხიდის დაბლობის ამოშრობილი მიწების რაციონალური ათვისება მარცვლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაავალეს შიდასამეურნეო ამოსაშრობი ქსელის ექსპლოატაცია, რისთვისაც გადაწყდა „საქსოფლტექნიკასთან“ არსებული სამელიორაციო რაზმების ბაზაზე შეიქმნას ხობის, აბაშისა და გალის სამელიორაციო სადგურები, რომლებიც დაექვემდებაროს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს.

იმასთან დაკავშირებით, რომ კოლხიდის დაბლობის ამოშრობილ მიწებზე განლაგებული კოლმეურნეობანი ეკონომიურად სუსტი არიან და არა აქვთ საჭირო ტექნიკა შიდასამეურნეო ამოსაშრობი ქსელის გასაწმენდად, რომელიც სრულიად მოუელელია, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაეკალა 1964-1965 წლების განმავლობაში მოაწყოს შიდასამეურნეო ამოსაშრობი ქსელის, ამ მიწებზე გამავალი გზებისა და ხიდების კაპიტალური რემონტი.

რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ მოვალეა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განცხადების შესაბამისად უზრუნველყოს საჭირო რაოდენობით ჰერბიციდებისა და შხამქიმიკატების შეზიდვა საწარმოო სამმართველოებში სარეველებთან, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან და ავადმყოფობებთან საბრძოლველად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო მოვალენი არიან 1964-1965 წლების კაპიტალურ სამუშაოთა გეგმებში გაითვალისწინონ შესაბამისი ტევადობის მარცვლეულის საწყობების მშენებლობა დამზადებული მარცვლის შესანახად.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, პარტიულ კომიტეტებსა და საწარმოო სამმართველოებს დაეკალათ უზრუნველყონ მარცვლის მოსავლიანობისა და საერთო მოსავლის გადიდებისათვის კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მექანიზატორთა შრომის დამატებითი ანაზღაურების ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო „პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისაგან, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან მოითხოვენ, რომ ტექნიკური კულტურების მოყვანის სამუშაოებთან ერთად თავიანთი მუშაობის ცენტრში მოაქციონ მარცვლეულის მეურნეობის აღმავლობა და მარცვლის წარმოების ყოველი ღონისძიებით გადიდება და დარაზმონ შშრომელნი ამ საერთო-სახალხო ამოცანის შესასრულებლად.

არბოშიკელთა წვლილი

სიღნაღის საწარმოო სამმართველოს არბოშიკის კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველები საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს. აქ საშემოდგომოდ მოხნულია 2.500 ჰექტარი. თავთავიანი მარცვლეული კულტურები დათესილია 2.400 ჰექტარი.

ხვნა-თესვაში თავი ისახელეს მექანიზატორებმა ლ. ჯავახიშვილმა, ვ. ალადაშვილმა და ზ. სეფიაშვილმა. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან და დღიურ დავალებას 110-120 პროცენტით ასრულებენ.

გ. კაკალაშვილი.

ჰექტარზე 120 ცენტნერი სიმინდი

მინდვრის დედოფალს ბევრი მეგობარი ჰყავს ყვარლის მუშა-მოსამსახურეებში. ერთიმათგანია სოფლის კოოპერატივის თანამშრომელი დ. დინტოშვილი. იგი ყვარლის ჰავაჰავაძის სახელობის კოლმეურნეობაში ერთ ჰექტარს უფლიდა და კოლმეურნეობას 120 ცენტნერი სიმინდი მიუწონა. გეგმა კი 38 ცენტნერს ითვალისწინებდა.

გ. გუბასიშვილი,
სოფლკორი.

მექანიზატორთა წინამძღოლი

სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სოფელ მაღაროს კოლმეურნეობამ წელს სახელმწიფო ბეღელს 2.161 ტონა მარცვალი ჩაბარა. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით კოლმეურნე მექანიზატორებს, რომლებსაც რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი **ივანე ბაიდოშვილი** ხელმძღვანელობს.

ახლა მაღაროელი მექანიზატორები მომავალი წლის უხვ მოსავალს უყრიან საფუძველს. მათ საშემოდგომო თესვის წლიური გეგმა უკვე შეასრულეს და ახლა გეგმის ზევით თესავენ.

სიმინდის უხვი მოსავლისთვისაც ემზადებიან. სულ მალე დაამთავრებენ მზრალად ხვნას. გაზაფხულზე კი მზრალად ხნულზე სიმინდს დათესავენ.

სურათზე: მაღაროელი მექანიზატორი ივ. ბაიდოშვილი.

გულითადი მილოცვები

ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა ამხანაგ ვალტერ ულბრიხტს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიაც ულოცავენ მას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ხელახლა არჩევას. დეპეშაში ნ. ს. ხრუშჩოვი და ლ. ი. ბრეჟნევი უსურვებენ ვ. ულბრიხტს ჯანმრთელობასა და ახალ წარმატებებს მის მოღვაწეობაში სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისთვის, ორივე ქვეყნის ხალხთა ძმური ურღვევი მეგობრობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ამხანაგ **ოტო გროტეოლს** გაუგზავნა მისალოცი დეპეშა, რომელშიაც საბჭოთა მთავრობა სახელით და პირადად მიულოცა მას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ხელახლა არჩევა. (საკდესი).

ეგზობრები ერთმანეთს უგზიარებენ გამოცდილებას

ბუდაპეშტი, 15 ნოემბერი. (საკდესი). სკკპ პარტიულ მუშაკთა დელეგაციის წევრები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მეჟავნაძის მეთაურობით გუშინ შეხვდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტის მუშაკებს. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შანდორ გაშპარმა საბჭოთა სტუმრებს უამბო, როგორ მუშაობენ უნგრეთის დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციები.

შემდეგ დელეგაციის წევრები იყვნენ 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში. მათ ფაბრიკის კოლეტივს გადასცეს საჩუქარი — მსოფლიოში პირველი კოსმონავტის იური გაგარინის ბიუსტი. პასუხად უნგრელმა მეგობრებმა საბჭოთა სტუმრებს უძღვნეს სამახსოვრო საჩუქრები.

სტუმრად მოსკოვში

15 ნოემბერს მოსკოვს ჩამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაცია. დელეგაციის მეთაურობს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ერიხ ხონეკერი. დელეგაცია ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამოცდილების გაცნობის მიზნით.

მზკიცდება საქმიანი კონტაქტები

ამ დღეებში მოსკოვში დაიდო შეთანხმება საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის გაერთიანებებსა და იტალიის სახელმწიფო კონცერნის ენის ჯგუფის მთელ რიგ კომპანიებს შორის. 1964-70 წლების განმავლობაში სსრ კავშირ-იტალიის მიაწვდის 25 მილიონ ტონაზე მეტ ნავთობს. ამავე დროს იტალია საბჭოთა კავშირს მოაწვდის მოწყობილობასა და მასალებს, რომლებსაც აწარმოებენ ენის ჯგუფის კომპანიები: ანიკი, სნამი, ნეოვო პიანონნე, ლანერიოსი და სხვები. მიწოდება განხორციელდება ურთიერთხელსაყრელი პირობებით. (საკდესი).

მაღალი ჯილდო გადაეცათ

სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1963 წლის III კვარტალის შედეგების მიხედვით ამერიკაკავსიის რკინიგზის კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დრშა. მაგისტრალის კოლექტივისათვის ამ მაღალი ჯილდოს გადაცემას მიეძღვნა ამერიკაკავსიის რკინიგზის შშრომელთა და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელთა სხვადასხვა კრება, რომელიც თბილისში გაიმართა.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: **ო. დ. გოცირიძე, დ. გ. სტურუა,** საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. ა. დოლიძე,** ამერიკაკავსიის რკინიგზის უფროსი **გ. ი. ქადაგიძე,** ამასთანავე რკინიგზის კვანძების ნოვატორები, დამკვრელები და კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრები, რკინიგზის სამმართველოს მუშაკები, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

კრება გახსნა რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ **გ. ი. ფორჟოლაძემ.**

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამერიკაკავსიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილეს **ო. დ. გოცირიძეს.** მან გულთბილად მიულოცა რკინიგზის კოლექტივს დიდი გამარჯვება და ახალი წარმატებები უსურვა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ტაშის გრიალში ამხ. გოცირიძემ გარდამავალი წითელი დროშა გადასცა ამერიკავკასიის რკინიგზის უფროსს **გ. ი. ქადაგიძეს.** საპასუხო სიტყვაში ამხ. **ქადაგიძემ** საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს აღუთქვა, რომ ამერიკავკასიის რკინიგზელთა კოლექტივი კვლავაც გაუხარელად გამოავლენს და გამოიყენებს სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის დაჩქარების რეზერვებს და ღირსეულად გაართმევს თავს შვიდწლედის მეხუთე წლის გეგმის ვადამდე შესრულების ნაკისრ ვალდებულებებს.

რკინიგზელებს მიესალმნენ თბილისის ლოკომოტივების დეპოს მემანქანე **პ. არევაძე,** სამტრედიის სადგურის უფროსი ელექტრომექანიკოსი **ა. მიტროშინი,** ამერიკავკასიის რკინიგზის ირეკლის განყოფილების უფროსი **გ. სტეპანიანი** და სხვები.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

(საკდესი).

მივცეთ სამშობლოს მეჯი მარცვალი!

სიღნაღის საწარმოო სამმართველოს მშრომელთა მიმართვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი

ჩვენი სამშობლოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს, რომლებიც თავდადებით ახორციელებენ სკკპ ისტორიული XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს სიღნაღის საწარმოო სამმართველოს მშრომელებმაც. ამაში დიდი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნამ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა მიხედვით განხორციელდა. ახლა საწარმოო სამმართველო, პარტიული კომიტეტი გაცილებით უფრო ახლოს არიან წარმოებასთან ვიდრე წინათ.

კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა თავდადებული შრომის შედეგად ჩვენი სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაადიდეს მარცვლისა. და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსთვის მიყიდეს.

სამმართველოს მეურნეობებში მიმდინარე წლის მოსავლისათვის დათესილი იყო 50.000 ჰექტარი თავთავიანი კულტურები. გეგმით უნდა გვეწარმოებინა 78.456 ტონა მარცვალი, ფაქტიურად კი მარცვლის საერთო მოსავალმა 88.000 ტონა შეადგინა.

სოციალისტური ვალდებულებით სახელმწიფოსათვის უნდა მიგვეყიდა 36.407 ტონა მარცვალი, მათ შორის 9.000 ტონა სიმინდი. ეს ვალდებულება დიდი გადაჭარბებით შესრულდა. სახელმწიფომ ჩვენგან მიიღო 53.775 ტონა მარცვალი.

წარმატებანი მარცვლის წარმოებასა და დამზადებაში შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ბევრმა მეურნეობამ ფართოდ დანერგა მექანიზაცია, ყველა აგროტექნიკური ღონისძიება დაწესებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად შეასრულა, მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და ამის შედეგად მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი მოიყვანა.

სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობამ 4.362 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანა 22 ცენტნერი თავთავიანი კულტურები და სახელმწიფოს მიჰყიდა 5.612 ტონა მარცვალი.

სოფელ ჯაფარიძის არტელმა 2.384 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანა 26,2 ცენტნერი მარცვალი, მათ შორის 29,5 ცენტნერი ხორბალი, და სახელმწიფოს მიჰყიდა 3.583 ტონა პური.

სოფელ წითელწყაროს ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ 3.609 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანა 22,5 ცენტნერი თავთავიანი კულტურები და სახელმწიფოს მიჰყიდა 4.756 ტონა მარცვალი.

თავთავიანი კულტურების უხვი მოსავალი მოიყვანეს **ზემო ქედის, მაღაროს, ულიანოვკის, საბათლოს, არბოშიკისა** და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმაც.

კიდევ უფრო უხვი მოსავალი მოიყვანეს ცალკეულმა ბრიგადებმა. ჯაფარიძის კოლმეურნეობაში კომუნისტ **გ. შარმაზანაშვილის** ბრიგადამ 1.061 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანა 30,2 ცენტნერი მარცვალი. სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის მემინდვრეთა მეორე ბრიგადამ (ბრიგადირი **ვ. ძნელაშვილი**), რომლის მინდვრებში მუშაობდა რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი **ი. ბაიდოშვილი,** 286 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანა 29,5 ცენტნერი მარცვალი. სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობის ბრიგადაში, რომელსაც **ვ. გრიგორიადი** ხელმძღვანელობს, შორაქში 117 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 35 ცენტნერი ხორბალი.

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მუშაკების წინაშე დასახულია მარცვლის წარმოების მკვეთრად გადიდების ამოცანა. ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა** ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე აღნიშნა, რომ მარცვლეულის მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია და, მაშასადამე, ზრუნვა მარცვლის წარმოების გადიდებისათვის პარტიის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელების წინაშე დგას მარცვლის წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანა. ამ ამოცანის შესრულებაში თავიანთ სამპატიო წვლილს შეიტანენ სიღნაღის საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები.

ვიცინარებთ, რომ ჩვენი სამმართველოს — რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი მარცვალმწარმოებელი საწარმოო სამმართველოს მეურნეობებს, მიუხედავად ეროგვარი წარმატებებისა, ჯერ კიდევ არ აუთვისებიათ მარცვლის წარმოების გადიდების მთელი რეზერვები.

ვცდილობთ რა წარმატებით შეასრულოთ დასახული ამოცანა, ვალდებულებას ვკისრულობთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენების გზით მივაღწიოთ იმას, რომ **უკვე 1963-1964 წლებში უხვმოსავლიანი მარცვლეული კულტურებით დავთესოთ 62.000 ჰექტარი და მარცვლის საშუალო მოსავლიანობა გავზარდოთ 23-24 ცენტნერამდე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20-21 ცენტნერისა.** სულ 1964 წელს სიღნაღელი მხვნელ-მთესველები აწარმოებენ 143 ათას ტონა მარცვალს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 124.000 ტონისა, ხოლო 1965 წელს — 149.000 ტონა მარცვალს — **დავალებაზე 19 ათასი ტონით მეტს.** სახელმწიფო ჩვენგან მიიღებს 80-85 ათას ტონა პურს წელიწადში.

მომდინარე წელთან შედარებით 1964 წელს თავთავიანი კულტურებით დაითესება 7.000 ჰექტარით მეტი, მათი მოსავლიანობა ჰექტარზე გაიზრდება 3 ცენტნერით, ხოლო 1965 წელს თავთავიანი კულტურების მოსავლიანობა 4 ცენტნერით გადააჭარბებს 1963 წლის მაჩვენებელს.

ცალკეულ მეურნეობებში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. მაგალითად, სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობა 3.035 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანს 30 ცენტნერ მარცვალს, ზემო მაჩხაანის არტელი 5.630 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანს 26 ცენტნერ მარცვალს, სოფელ მაღაროს კოლმეურნეობა კი 2.415 ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერ მარცვალს მიიღებს.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდების მიზნით ჩვენ საუკეთესო ვადებში და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე შევასრულებთ ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, ფართოდ დავნერგავთ წარმოებაში მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავეთა გამოცდილებას, მაქსიმალურად გამოვიყენებთ ორგანულ და მინერალურ სასუქებს, ჰერბიციდებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ სარწყავი მიწების რაციონალურად გამოყენებას. სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დროზე და მაღალხარისხოვნად შევაკეთებთ სარწყავ ქსელს, სწორად მოვაწყობთ და სანიმუშოდ გავუძღვებით სარწყავ მეურნეობას.

მომდინარე წელს სამმართველოს მეურნეობებში ფართოდ დავნერგავთ უხვმოსავლიანი ჯიშის ხორბალს „უფხო-1“-ს. მთელ ფართობზე, რომელიც განკუთვნილია ხორბლის დასათესად — 50.000 ჰექტარზე დათესება მხოლოდ და მხოლოდ ეს ჯიში, რომელიც ჩვენს პირობებში მარცვლის გარანტირებულ უხვ მოსავალს იძლევა.

გადაწყვიტეთ რაც შეიძლება მეტი წარმადობით გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. აგრეგატების ორ ცვლად შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ქიმია და მოსავალი

სასუქები მოსავლიანობის გადიდების საფუძველთა საფუძველია

ქომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ ქიმიური მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვისათვის, ქიმიური პროდუქტებისა და მასალების სახალხო მეურნეობაში ფართოდ გამოყენებისათვის. ამის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა ის, რომ მომდინარე წლის დეკემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განიხილავს საკითხს — „ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარება და ქიმიური პროდუქტებისა და მასალების ფართოდ გამოყენება სახალხო მეურნეობაში".

სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ძირეული რგოლი ჩვენი ქვეყნის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობაა. სოფლის მეურნეობას აძლევ, როგორც არასდროს, ესაჭიროება ქიმიური პროდუქტები — სასუქები და სხვა შხამქიმიკატები. უამისოდ მოსავლიანობის გადიდებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე მოგვცა მეტად ძვირფასი პრაქტიკული რჩევა-დარიგება, რომლის განხორციელება დიდად შეუწყობს ხელს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებას.

ცნობილია, რომ სასუქების წესიერად გამოყენების გზით მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა დიდდება 2-3-ჯერ და მეტადაც. როგორც ცდებით დადასტურდა, ჩვენი რესპუბლიკის პირობებში, კერძოდ ქართლის მდელოს ყავისფერ კარბონატულ ნიადაგებში, სასუქების გამოყენებით ჰექტარ მიწის ფართობზე საშემოდგომო ხორბლის მოსავალი 8-10 ცენტნერიდან 25-26 ცენტნერამდე, ხოლო ცალკეულ ნაკვეთებზე 30-35 ცენტნერამდე დიდდება.

სასუქების გამოყენებით ასევე მატულობს სიმინდის მოსავალი. თუ ერთ ჰექტარ მიწის ფართობზე უსასუქოდ იღებენენ 15-20 ცენტნერ სიმინდის მოსავალს, სასუქების გონივრულად გამოყენებით მოჰყავთ 45-50 ცენტნერი და მეტიც.

სასუქები მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების მყარი და უტყუარი ღონისძიებაა. ამიტომ ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში სასუქების წარმოებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მომდინარე წელს ჩვენი ქიმიური საწარმოები დაამზადებენ 20 მილიონ ტონა მინერალურ სასუქებს. მთავარი ამოცანა ის არის, რომ უახლოეს წლებში დამზადებულ იქნას 100 მილიონი ტონა მინერალური სასუქები. მაგრამ, როგორც ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ზემოაღნიშნულ სიტყვაში ამბობს, „მინერალური სასუქების წარმოებას რომ ვზრდით, ამასთან ერთად უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ უადრესად ეფექტიანად გამოვიყენოთ ყოველი კილოგრამი სასუქი".

ეს იმას ნიშნავს, რომ კარგად მოვუაროთ სასუქებს და შევიტანოთ ისინი ნიადაგში მხოლოდ იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც საჭიროა მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის. სამწუხაროდ, სასუქების მოვლა-გამოყენების საქმეში ხშირად შეუწყნარებელ ფაქტებს აქვს ადგილი. არ არის მოწესრიგებული სასუქების სასაწყობო მეურნეობა, როგორც რკინიგზის სადგურებში, ისე ადგილებზე — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხშირად ცისკენშ ყრია მოსავლიანობის გადიდების ეს მეტად ძვირფასი საშუალება. ასეთ პირობებში სასუქები კარგავენ ქიმიურ და ფიზიკურ თვისებებს, მათი შეტანა ნიადაგში არ იძლევა საჭირო ეფექტს.

დამტკიცებულია, რომ ყოველგვარ ნიადაგს ერთნაირი განყოიერება როდი ესაჭიროება. სამწუხაროდ, დღემდე სასუქები ნიადაგში შეაქვთ ბრმად, მცენარისათვის საჭირო ამა თუ იმ ნივთიერების რაოდენობის გაუთვალისწინებლად, რის შედეგადაც ადგილი აქვს სასუქების უმიზნოდ ხარჯვას, ზედმეტი შრომის გაწევას და პროდუქციის თვითღირებულების გაზრდას. ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ჰქონდეს შედგენილი მის განკარგულებაში მყოფი ნაკვეთების აგროქიმიური კარტოგრამები.

აგროქიმიური კარტოგრამები განსაზღვრავენ, ცალკეულ ნაკვეთებში რა რაოდენობით მოიპოვება მცენარისათვის საჭირო ესა თუ ის ნივთიერება, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ნიადაგში სასუქები შევიტანოთ დიფერენცირებული წესით, მცენარისათვის საჭირო ამა თუ იმ საკვები ნივთიერების გათვალისწინებით. ამისათვის საწარმოო სამმართველოებთან არსებულ აგროქიმიურ ლაბორატორიებს, რომლებსაც დაკალებული აქვთ აგროქიმიური კარტოგრამების შედგენა ჩაისა და სხვა ტექნიკური კულტურებისათვის, ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყნის წინაშე მკვეთრად დგას პურის პრობლემა, უნდა დაეკალოთ აგროქიმიური კარტოგრამების შედგენა და გამოყენება აგრეთვე მარცვლეული კულტურების მწარმოებელ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ცნობილია, რომ საშემოდგომო ხორბალი მეტად დიდ მოთხოვნებს უყენებს ნიადაგს. ის კარგად ვითარდება და მაღალ მოსავალს იძლევა საკვები ნივთიერებით მდიდარ, ტენით უზრუნველყოფილ, კარგი ფიზიკური თვისებების მქონე ნიადაგებზე. საკვები ნივთიერებით ღარიბ ნიადაგებზე კი საშემოდგომო ხორბლის მოსავალი მცირეა.

სასუქების ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული თვით საშემოდგომო ხორბლის ჯიშებზე. მაღალმოსავლიან ჯიშებს ძლიერ ესაჭიროებათ საკვები ნივთიერებანი და ტენი. ამიტომ ახლა, როდესაც ჩვენს სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში ფართოდ იკიდებს ფეხს უხვმოსავლიანი საშემოდგომო ხორბლის ახალი ჯიში „უფხო-1", სასუქების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ცნობილია, რომ „უფხო-1" უსასუქოდ ერთ ჰექტარ ფართობზე თუ იძლევა 36 ცენტნერ მოსავალს, სასუქების გამოყენებით მოსავლიანობა 58 ცენტნერამდე მატულობს.

სასუქების ეფექტურობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ნიადაგის ტენით უზრუნველყოფას. თუ ურწყავ ნიადაგში სასუქების გამოყენებით მოსავლის ნამატი ერთ ჰექტარზე 4-5 ცენტნერს შეადგენს, მაღალტენიან ნიადაგებზე ან სარწყავი მეურნეობის პირობებში სასუქების იმავე რაოდენობით გამოყენება მოსავლის ნამატს თვითეულ ჰექტარზე ზრდის 10-12 ცენტნერით.

სასუქები მარცვლეული კულტურებისათვის პირველ რიგში გამოყენებულ უნდა იქნას ტენით უზრუნველყოფილ ნიადაგებში ან სარწყავი მეურნეობის პირობებში.

დამტკიცებულია, რომ მარცვლეული კულტურები საქართველოს ძირითადი ტიპის ნიადაგებზე დიდი რაოდენობით მოითხოვენ აზოტოვან და ფოსფოროვან სასუქებს. განსაკუთრებით მსუბუქი მექანიკური შედგენილობის ნიადაგებზე ვლინდება კალიუმის ეფექტურობა. საქართველოს პირობებში აზოტოვანი სასუქებიდან ყველაზე უკეთეს შედეგებს იძლევა ამონიუმის გვარჯილა და ამონიუმის სულფატი. კარბონატულ ნიადაგზე სარწყავი მეურნეობის პირობებში უფრო ეფექტურია ამონიუმის სულფატი. ნეიტრალურ და კარბონატულ ნიადაგებზე ფოსფოროვანი სასუქებიდან გამოყენებულ უნდა იქნას სუპერფოსფატი, კალიუმიანი სასუქებიდან კი საშემოდგომო ხორბლის ნათესებში — ქლორკალიუმის მარილი.

სასუქების დოზები დამოკიდებულია ნიადაგურ-კლიმატურ პირობებზე, ხორბლის ჯიშზე და აგროტექნიკურ დონეზე. მარცვლეულის ნათესებში ჩვენს პირობებში თვითეულ ჰექტარ მიწის ფართობზე დაახლოებით შეტანილ უნდა იქნას: აზოტი 45-დან 120, კილოგრამამდე, ფოსფორი — 60-დან 120 კილოგრამამდე და კალიუმი — 45-დან 60 კილოგრამამდე.

საშემოდგომო ხორბლის ფოსფორი ესაჭიროება განვითარების პირველ ფაზაში, როდესაც მცენარე ფესვთა კვებიდან გადადის ნიადაგურ კვებაზე. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მწკრივში თესლთან ერთად მარცვლისებური სუპერფოსფატის შეტანას. იგი თვითეულ ჰექტარ მიწის ფართობზე მოსავალს ზრდის 2-3 ცენტნერით. მარცვლისებური სუპერფოსფატის ნიადაგში შეტანა შეიძლება საშემოდგომოდ ხორბლის სათესი მანქანით.

საშემოდგომო ხორბლის გამოკვება მიზანშეწონილია აღრე გაზაფხულზე მცენარის ზრდის პერიოდში. ამ წესით თვითეულ ჰექტარზე თუ შევიტანთ 20 კილოგრამამდე აზოტს და 20 კილოგრამამდე ფოსფორს, მოსავალს გამზრდით 4-6 ცენტნერამდე.

საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობის ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს აზოტოვანი სასუქების მოკარებული დოზით გამოყენება. ეს იწვევს მცენარის უჩვეულოდ დიდად ზრდას, ჩაწოლას და მოსავლის დიდ დანაკარგს. ამიტომ ამ შემთხვევაში, საშემოდგომო ხორბლის ნათესი უნდა გამოკვებოთ მხოლოდ კალიუმიანი და ფოსფოროვანი სასუქებით.

თავთავიანი კულტურების გამოსაკვებად უნდა გამოვიყენოთ თვითმფრინავები. გამოკვების შემდეგ ნათესების მორწყვა და დაფარცხვა კარგ შედეგს იძლევა.

გარდა მინერალური სასუქებისა, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი სასუქების შეგროვებასა და გამოყენებას. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უნდა დაუწესდეს ადგილობრივი მნიშვნელობის სასუქების შეგროვების მტკიცე გეგმა. განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ნაკელის შეგროვებას, მის წესიერად შენახვასა და გამოყენებას. როგორც წესი, ყველა ფერმასთან უნდა მოეწყოს სანაკელე და საწუნწუხე ორმები.

ნაკელი უმჯობესია გამოვიყენოთ საშემოდგომო ხორბლის ფინამორბედი სათოხნი კულტურების ნათესებში, როგორიც არის შაქრის ჭარხალი, სიმინდი, მზესუმზირა და სხვ. ნაკელის შეიდგომი მოქმედება საკმაოდ დიდია და კარგად უწყობს ხელს საშემოდგომო ხორბლის ზრდას. ორგანული და მინერალური სასუქების ერთობლივი გამოყენება იწვევს საშემოდგომო ხორბლის როგორც მოსავლიანობის გადიდებას, ისე სასუქების გამოყენების კოეფიციენტის ზრდას.

სიმინდის ნათესების გამოსაკვებად აზოტის შეტანა უნდა მოხდეს როგორც თესვის, ისე მეორედ გათოხნის წინ. აჯამეთის ეწერ ნიადაგებზე სიმინდის კულტურის გასანაყოიერებლად გამოყენებულ უნდა იქნას აგარის შაქრის ჭარხლის ანარჩენი — დეფეკაციური ტალახი. დეფეკაციური ტალახისა და სარეწველო მინერალური სასუქების ერთობლივი გამოყენებით აღნიშნულ ნიადაგებზე მიიღება სიმინდის კიდევ უფრო მაღალი მოსავალი.

მარცვლეულ კულტურათა მოსავლიანობის ზრდის საქმეში გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჭიათურის მანგანუმის შემცველი შლამის გამოყენებას. ცდებით დადასტურებულია, რომ როდესაც ნიადაგში მანგანუმი მცირე რაოდენობით არის, მაშინ ნიადაგში მისი შემცველი სასუქის შეტანა ხორბლის მოსავლის თვითეულ ჰექტარზე 2-4 ცენტნერით ზრდის.

მანგანუმის შლამი დიდი რაოდენობითაა ჭიათურაში. იგი შეტანილ უნდა იქნას კარბონატულ ნიადაგებში, სადაც აქტიური მანგანუმის შემცველობა 100 გრამ ნიადაგში ერთ მილიგრამზე ნაკლებია. ჭიათურის მანგანუმის შლამი თვითეულ ჰექტარზე შეტანილ უნდა იქნას 60-100 კილოგრამის რაოდენობით.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა დაეკალოს ლაბორატორიებს შეადგინონ აგროქიმიური კარტოგრამები ნიადაგში მანგანუმის შემცველობაზე და ამის საფუძველზე უზრუნველყონ მანგანუმის შემცველი სასუქის — ჭიათურის მანგანუმის შლამის გამოყენება.

მანგანუმის შემცველი ჭიათურის შლამი სასუქების გარკვეულ რეზერვს წარმოადგენს და მისი წესიერად გამოყენება მნიშვნელოვნად გაზრდის მარცვლეულის მოსავალს.

საჭიროა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამოიყონ პასუხისმგებელი პირები, რომლებსაც დაეკალებათ სასუქების შეგროვება, მოება, შენახვა-მოვლა და ნიადაგში ტანა. მათ განაკარგულებაში იქნება საკრო-ტრანსპორტი. ამ საქმეში ადგილობრივ ორგანიზაციებმა ეფექტიანად ჩაბმა ქალაქთა სამმართველოს აგროქიმიურ ლაბორატორიებთან.

დაგობრივმა სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა ადგილებზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ სასუქების წესიერად, პრაქტიკით განმტკიცებული მეცნიერული მონაცემების მიხედვით გამოყენების საქმეში. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მექანიზაციის ფართოდ დანერგვას სასუქების გამოყენებაში.

კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკმა მთელი ძალები უნდა დარაზმონ, რომ სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსში სასუქების წესიერად გამოყენებით უზრუნველყონ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალება მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

პროფ. ი. სარიშვილი,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, აგროქიმიის კათედრის გამგე.



ქუთაისის ლითოფონის ქარხნის კოლექტივი ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს. ქიმიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ შაბიამნის გამოშვების გადიდებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ვენახების მავნებლებისაგან დაცვის საქმეში. **სურათზე:** შაბიამნის სამქროს მაღნის გამოწვის უბანი.

ფოტო ი. დვალისა
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲖᲐᲡ ᲣᲮᲡᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲥᲘᲛᲘᲐᲡ...

ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲭᲠᲐᲗ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲡᲣᲥᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲘᲛᲘᲣᲠ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲖᲔ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

□ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ ᲜᲐᲓᲒᲣᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲡᲝᲒᲘᲗ ᲢᲝᲜᲐ ᲛᲘᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲣᲥᲘ.

□ ᲛᲔᲣᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲚᲘ ᲜᲐᲩᲘᲚᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲛᲘᲘᲩᲘᲚᲔᲑᲡ.

ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲧᲠᲘᲚᲘ ᲡᲘᲣᲮᲕᲘᲡ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲠᲔᲓᲘᲓ

ᲣᲐᲪᲠᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘ

ᲡᲐᲧᲐᲠᲐᲛᲝᲠᲗᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲐᲒᲠᲝᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲓᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲛᲘᲬᲐ, ᲬᲧᲐᲚᲘ, სასუქები მოსავლიანობის გადიდების დედაა, ხშირად ვამბობთ და მართლაც ასეა. ვინც მიწას უპატრონებს, ვინც შრომას არ დაიშურებს და გონივრულად გამოიყენებს მიწას, მოიშველიებს ქიმიას, იგი უხვ მოსავალსაც მიიღებს. მიწისაგან იმის მაქსიმუმი რომ მიიღო, რის მოცემაც მას შეუძლია, საჭიროა იცოდე ამ მიწის ყადრი, კარგად ერკვეოდე ნიადაგის შემადგენლობაში. ეს რომ იცოდე, საჭიროა შეისწავლო ნიადაგის ავ-კარგი. სწორედ ამიტომ საწარმოო სამმართველოებთან შეიქმნა აგროქიმიური ლაბორატორიები. სულ რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა 21 აგროქიმიური ლაბორატორია, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, დაკომპლექტებულია მომზადებული კადრებით: ნიადაგმცოდნეებით, აგროქიმიკოსებით და ინჟინერ მიწათმმწყობებით.

აგროქიმიური ლაბორატორიების მუშაკთა საპატიო ვალია უახლოეს 2-3 წელიწადში შეისწავლონ ჩვენი რესპუბლიკის ნიადაგები, ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შეადგინონ ნიადაგების კადასტრი, რომ ჩაის, ციტრუსების, ვაზის, ხეხილის, ბოსტნეულის, ბამბის, ბრინჯის, ბალის, ფეიქრულ კულტურებისა, ჩაის, ფიჭვეულ ნარგავების, ბაღების, ტყეების, ბალახოვანი ფერადოვანი ბალახების, ბაღჩეულ-ბოსტნეულ-ბოსტნეულ-ბაღჩეულ-ბოსტნეულ-ბაღჩეულ-ბოსტნეულ-ბაღჩ

საერთაშორისო
ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ, ᲡᲢᲠᲐᲜᲯᲘᲡ, ᲕᲘᲝᲚᲘᲜᲩᲔᲚᲘᲡ
ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲘᲠᲐᲜᲘ ᲛᲝᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲭᲘᲝ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲡ

ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘ, 15 ნოემბერი. (საკადესი). ირანის პრესა მრავალ სტატიასა და კომენტარს უძღვნის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალ ვიზიტს ირანში.

„ორი მეზობელი სახელმწიფოს მეგობრულ ურთიერთობაში გადაიშლება ახალი ფურცელი, — წერს, კერძოდ, გაზეთი „მეჰრე ირანი“. — ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა ერთხელ კიდევ ხაზი გავუსვათ იმას, თუ რა სარგებლობა მოაქვთ ორივე ქვეყნისათვის თანამშრომლობასა და მეგობრობას. ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება იმ ფაქტს, რომ თუ ირანისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა განმტკიცდება საერთო საკითხების გადაჭრაში, მეგობრობის, თანამოქმედებისა და თანხმობის მიმართულებით, ეს ხელსაყრელი იქნება ორივე მხარისათვის“.

გაზეთი იმედს გამოთქვამს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი თეირანში და მისი შეხვედრა ირანის შაჰთან და სახელმწიფო მოღვაწეებთან „ჩინებულ შედეგს“ მოიტანს.

გაზეთი „ეთვალადე მელი“ აცხადებს: „სულით და გულით მივესალმებით ბრეჟნევის ვიზიტს ირანში. ვიცავთ რა ირანელთა ძველ ტრადიციებს, რომ პატივი ვცეთ სტუმარს, მით უფრო ისეთი დიდი ხალხის წარმომადგენელის, როგორიც საბჭოთა ხალხია, ჩვენ ვამბობთ: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! მოხარული ვართ ვნახოთ, გხედავდეთ ჩვენს ქვეყანაში, სახლში თქვენ, თქვენი ხალხის მეგობრობისა და ჰუმანურობის მაუწყებელს. იმედი გვაქვს, რომ კარგად იგრძნობთ თავს ირანში“.

ᲯᲝᲜ ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 14 ნოემბერი, (საკადესი). დღეს აქ გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის მორიგი პრეს-კონფერენცია. პრეს-კონფერენციაზე მთავარი ყურადღება მიექცა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული იმასთან, რომ ამას წინათ მოსკოვში ჯაშუშობისათვის დააპატიმრეს ამერიკელი მოქალაქე ფ. ბარგჰორნი, რომ შეერთებულ შტატებში დაიწყესეს ახალი შეზღუდვები საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მოქალაქეთა მიმოსვლაზე, აგრეთვე იმ მოლაპარაკებს, რომელსაც საბჭოთა კავშირი აწარმოებს ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში ხორბლის შესასყიდად.

კენედი უარყოფდა, რომ ბარგჰორნი საბჭოთა კავშირში გამოიმგზავრა რაიმე სადაზვერვო დავალებით. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიმ მთავრობა უაღრესად შეშფოთებულია, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, ამერიკელი პროფესორის „დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი დაპატიმრებით“. მისი აზრით, ამ დაპატიმრებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კულტურული გაცვლის გაფართოებაზე შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ერთ-ერთი კორესპონდენტის აშკარად პროვოკაციული შეკითხვის პასუხად, რომ არ აჯობებდა შეერთებულ შტატებს ხორბლის გაყიდვის თაობაზე გამართული მოლაპარაკება გამოეყენებინა ისეთ საშუალებად, რომლითაც აიძულებდა საბჭოთა კავშირს დაეთმო გერმანიის საკითხში, პრეზიდენტმა ხაზგასმით განაცხადა, რომ ხორბალთან დაკავშირებული გარიგება სასარგებლო იქნებოდა არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ ამერიკის შეერთებული შტატებისათვისაც ეს გაიგება უნდა იყოს სხვა საკითხებისაგან სავსებით დამოუკიდებელი საქმე და ხელს შეუწყობდა ურთიერთგაგების გაუმჯობესებას ორივე ქვეყანას შორის.

კორესპონდენტებმა პრეზიდენტს ჰკითხეს, აპირებს თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა განახორციელოს რაიმე სპეციალური ღონისძიებანი იმისათვის, რომ „დაიყოლიოს“ არ კენტინის მთავრობა უარი თქვას იმ ნავთობის კომპანიათა ნაციონალიზაციაზე, რომლებიც ამერიკის ნავთობის მონოპოლიებს ეკუთვნის.

კენედიმ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ცნობენ სუვერენული სახელმწიფოს უფლებას განახორციელოს გარკვეული მოქმედება საკუთარი საზღვრების ფარგლებში, მაგრამ შეერთებული შტატები დაბეჯითებით მოსთხოვენ მათ „სამართლიან კომპენსაციას“.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲓᲐᲙᲐᲠ, 15 ნოემბერი. (საკადესი). სენეგალის რესპუბლიკის დედაქალაქ დაკარში გაუშვეს სტრატოსტატი, რომელზეც არის ხელსაწყოები კოსმოსური სხივების შესასწავლად 30 კილომეტრ სიმაღლეზე. ამგვარი მეცნიერული ექსპერიმენტი პირველად მოახდინეს აფრიკაში. 25 მეტრიანი ბალონი, რომელზეც არის ხუთი კილოგრამი აპარატურა, იუწყება გაზეთი „დაკარ-სტატენ“, გაუშვა ევროპის მთელი რიგი ლაბორატორიების გაერთიანებულმა ჯგუფმა დაკარის უნივერსიტეტთან და მეტეოროლოგიის ეროვნულ ინსტიტუტთან თანამშრომლობით მშვიდი მზის საერთაშორისო წლის პროგრამის საფუძველზე.

ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ „ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ“ რაჯალი სადისტი ნგო დინ ნიუ ბუდისტების წინააღმდეგ ბევრი სისხლიანი რეპრესიის შთამაგონებელია. პრესაში გამოქვეყნდა ცნობები, რომ იგი დიდ თანხებს იღებს ამერიკის შეერთებული შტატების დეს (დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს) საიდუმლო ფონდებიდან. სწორედ ამაზე მიუთითებს გადაკვრით ამერიკულ გაზეთ „ჩიკაგო სან-ტაიმსში“ გამოქვეყნებული კარიკატურის ავტორი. (კარიკატურა მარჯვნივ).

დღეში 1 მილიონ 500 ათას დოლარს იღებენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან სამხრეთ ვიეტნამის ჯალათები. ეგრეთწოდებული „განსაკუთრებული დანიშნულების ჯარების“ არამზადები ცნობილი არიან როგორც შემაძრწუნებელი წამებისა და მასობრივ მკვლელობათა ოსტატები.

(გაზეთი „ეგიდან“).

„...და ჩვენ გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს იმისათვის, რომ მათ გახადეს შესაძლებელი ყოველივე ეს“.

კარიკატურა ამერიკულ გაზეთ „სან-ფრანცისკო ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲚᲘᲓᲐᲜ“ (ქვემოთ).

ᲝᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲐᲠᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 14 ნოემბერი. (საკადესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად თავს იკლავს 25-35 ათასი ამერიკელი. დოქტორ ლუის დუბლინის მონაცემებით, რომელიც სადაზღვევო კომპანიის „მეტროპოლიტენ ლაიფ ინშურენს“-ის სტატისტიკურ განყოფილებაში მუშაობს, შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად 200.000-ზე მეტი კაცი ცდილობს თავის მოკვლას. ყველა ამ ადამიანს, ბაზს უსვამს დოქტორი დუბლინი, სჭირდება ესა თუ ის დახმარება.

თვითმკვლელობის ყველაზე დიდი პროცენტი მოდის 30-წლამდე ასაკის და 50 წლისაზე მეტი ხნის ადამიანებზე. ეს შემთხვევითი როდია. სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ სწორედ ამ ასაკობრივი კატეგორიისათვის არის ყველაზე ძნელი მუდმივი სამუშაოს შოვნა.

დუბლინის ცნობებით, ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში ორი მილიონი კაცია, რომლებმაც სხვადასხვა დროს თავის მოკვლა სცადეს.

ᲤᲣᲤᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲦᲐᲢᲐᲙᲔ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 15 ნოემბერი. (საკადესი). „ჩვენ გვიწოდებენ სიუსვის და მაღალი კულტურის ხაზოგადოებას. მაგრამ ზეიმი მადლობის დღის გამო და ბრწყინვალე საშობაო საჩუქრები ბევრი ამერიკელისათვის მხოლოდ ოცნება იქნება“, — ნათქვამია სტატიაში „ორი სამყარო ერთ ქვეყანაში“, რომელიც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნდა.

ჩვენს საუკუნეში, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, გვაქვს მიდრეკილება გაცილებთ უფრო მეტი პატივისცემით მოვეპყრათ სტატისტიკურ მონაცემებს, ვიდრე ადამიანებს, რომლებსაც ეს მონაცემები შეეხება. მაგალითად, სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, რომ ფუფუნების საგნებმა 1963 წელს ხაზინას მისცა მეტი შემოსავალი გადასახადებისაგან, ვიდრე რომელიმე სხვა წელს.

მაგრამ, განაგრძობს გაზეთი, ეს მონაცემები „ყალბი წარმოდგენაა ამერიკის ცხოვრებაზე მთლიანად“, რადგან „სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა ამჟამად დაქვეითებული მთის რაიონში, რომელიც გადაჭიმულია პენსილვანიის ჩრდილოეთი ნაწილიდან ალაბამამდე. ეს სილარიბის რაიონი აპალაჩის მთებშია. უმუშევრობა კენტუკის შტატის აღმოსავლეთ ნაწილში 10 პროცენტს აღემატება“.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲡᲘᲒᲜᲔᲑᲐᲜᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 15 ნოემბერი. (საკადესი). როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ იუწყება, ამერიკის კონგრესის წარმომადგენლთა პალატამ „ხდობის ვოტუმი გამოუცხადა“ „მშვიდობის კორპუსს“, მოიწონა რა კანონპროექტი, რომლითაც მომდინარე საფინანსო წელს კორპუსისათვის უნდა გაიღოს 102 მილიონი დოლარი. გაზეთი აღნიშნავს, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს ასიგნებათა გადიდებას 43 მილიონი დოლარით გასულ საფინანსო წელთან შედარებით, „რათა საშუალება მიეცეს კორპუსს გაფართოოს თავისი საქმიანობა ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში“.

ამ გეგმების თანახმად, რომლებიც მთავრობამ გააცნო წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიას, „მშვიდობის კორპუსის“ წევრთა რიცხვი, რომლებიც საზღვარგარეთ მუშაობენ, მომავალი წლის აგვისტოსათვის უნდა გადიდდეს 11.300-მდე. ახლა „მშვიდობის კორპუსშია“ დაახლოებით 6.700 კაცი.

ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ მიმდინარეობს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური. აღსანიშნავია, რომ წელს იგი დაემთხვა ჩეხოსლოვაკიასა და სსრ კავშირს შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების 20 წლისთავს. შესანიშნავი ტრადიციის თანახმად, საბჭოთა კავშირშიც ერთთვიურის პერიოდში ბევრი ღონისძიება მოეწყობა.

ამ ვრცელი პროგრამის პირველი დიდი მოვლენაა მოტოციკლების ეტაპეტი მარშრუტით მოსკოვი-უფა-როდი. სახელმწიფო საზღვარზე მას მიიღებენ ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები და ჩეხოსლოვაკიის მშრომელებს პრაღაში გადასცემენ საბჭოთა კავშირის მშრომელთა მისალმებას, ეტაპეტი დაიწყება 15 ნოემბერს მოსკოვში, ლუჟნიკებში.

ხელშეკრულების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გაიმართება მოსკოვში, ხოლო საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საღამოები — მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებსა და ჩვენი ქვეყნის სხვა დიდ ცენტრებში. საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში ეწყობა ლექციები და საუბრები ჩეხოსლოვაკიის შესახებ, სოციალიზმის მშენებლობაში ჩეხოსლოვაკიელი ხალხის წარმატებებისა და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ბრძოლის შესახებ.

საბჭოთა ადამიანები გაეცნობიან ჩეხოსლოვაკიის კულტურული განვითარების წარმატებებსაც. მოეწყობა ჩეხოსლოვაკიის მხატვრული და დოკუმენტური ფილმების ფესტივალი; საბჭოთა თეატრების სცენებზე დადგმება ჩეხოსლოვაკიელი ავტორების პიესები. მოსკოვში მოეწყობა თანამედროვე ჩეხური და სლოვაკური ლიტერატურის საღამო, აგრეთვე საბჭოთა მხატვრების ჩეხოსლოვაკიისადმი მიძღვნილ ნაწარმოებთა გამოფენა. ჯამოვა საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკა და კონვერტები. (საკადესი).

ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘᲡᲘ ᲔᲠᲐᲡᲐᲣᲠᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 15 ნოემბერი. (საკადესი). როგორც ცნობილი გახდა, ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების რამდენიმე ოფიცერი დაპატიმრეს იმისთან დაკავშირებით, რომ ბაღდადში იყო სახელმწიფოთა გადატრიალების ცდა, იუწყება ფრანს პრესის საგარეოს კორესპონდენტი ბეიერუთიდან. ერაყის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალს გენერალ ტიკრიტს ბედი გამოურკვეველია. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, დაპატიმრებულია სამხედრო სარდლობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, თვალსაჩინო ბაასისტი გენერალ ჯანდაუი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 15 ნოემბერი. (საკადესი). ერაყის ბაასის პარტიის ხელმძღვანელი ორგანოებიდან შეიდი წევრი გუშინ სპეციალური სამხედრო თვითმფრინავით ჩავიდა ბაღდადიდან ბეირუთს, იუწყება რეიტერის საგაზეთო. მათ შორის არიან საგარეო საქმეთა მინისტრი შაბიბი, საპრეზიდენტოს საქმეთა მინისტრი ჯავადი და ერაყის სხვა ოფიციალური პირები. ბაღდადის გაზეთი „ალ-ჯუმჰაირი“ იუწყება, რომ შაბიბი, ჯავადი და სხვები გაძევეს ერაყიდან.

ᲔᲠᲗᲝᲒᲐ!

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 14 ნოემბერი. საკადესის კორესპონდენტი ლ. ბობროვი იუწყება:

გუშინ პარიზის ერთ-ერთი უდიდესი დარბაზის — „მიუტიუალიტეს“ თაღებქვეშ არა ერთხელ გაისმა ოვაციანად ეს სიტყვა. მას ერთხმად იმეორებდა ათასობით ადამიანი, რომლებიც შეიკრიბნენ ესპანეთის გმირ ხალხთან სოლიდარობის მიტინგზე. ასე მიესალმნენ ისინი საფრანგეთის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მრავალი წარმომადგენლის გამოსვლას, რომლებმაც კვლავ განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაეხმარონ ესპანეთის მოძმე ხალხს აღსდგეს და მოიპოვოს ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის მიერ ფეხქვეშ გათელილი ადამიანური ღირსება და თავისუფლება.

მიტინგის მონაწილენი ფეხზე ადგომით, ტაშის გრიალით შეხვდნენ პრეზიდიუმში შემოსულ ესპანელ ქალს ანხელა გრიმაუს — მიმდინარე წლის გაზაფხულზე ფრანკოს ჯალათების მიერ ვერაგულად მოკლული გმირი კომუნისტის ხულიან გრიმაუს ქვრივს, აგრეთვე ესპანელ პოეტს მარკოს ანს, რომელმაც თითქმის 28 წლის პატიმრობის შემდეგ მოახერხა ფაშისტური საპყრობილედან გამოქცევა.

ფრანკოს მთავრობას კვლავინდებურად ჰყავს გამომწყვდეული საპყრობილეებში ოთხი ათასი პოლიტიკური პატიმარი. რეპრესიები არ წყდება. დიქტატორი-ჯალათი, რომელსაც საკუთარი ჩრდილიც კი აშინებს, სულ უფრო სასტიკ რეპრესიებს ატეხს თავზე იმათ, ვინც წლების განმავლობაში მოკლულია თავისუფლებას. ამაზე ილაპარაკა მიტინგის ბევრმა მონაწილემ — სოციალისტმა ჟორჟ დარდელმა და მწერალმა ჟან კასუმ, სოციალისტური პარტიის სენის დეპარტამენტის ფედერაციის მდივანმა კლოდ ფიუზიემ და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა პოლ ლორანმა.

ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 15 ნოემბერი. (საკადესი). გუშინ შეერთებულმა შტატებმა ნევადის შტატის პოლიგონზე მოახდინეს მიწისქვეშა ატომური აფეთქება, იუწყება ატომური ენერგიის კომისია.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲖᲔ

□ ამერიკის შეერთებულ შტატებში გასტროლებზე მყოფმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დავით ოისტრახმა ვაშინგტონში შესასრულა ბრამსის კონცერტი ვიოლონსა და ორკესტრისათვის. გამოჩენილმა საბჭოთა მევიოლინემ, წერს ვაშინგტონის გაზეთი „სტარი“, დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა, მისი ვიოლინო ჟღერდა „პირდაპირ დვთაებრივად“.

□ მომავალი წლის მაისში ნიასალენდში მოეწყობა საყოველთაო არჩევნები, რომლის შედეგადაც შეიქმნება ამ ქვეყნის მთავრობა, იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგაზეთო კორესპონდენტი ბლანტაირდან. ამის შემდეგ ნიასალენდს, რომელიც ინგლისის კოლონიად ითვლება, მიეცემა დამოუკიდებლობა. ნიასალენდის დამოუკიდებლობა გამოცხადდება 6 ივლისს.

□ ოფიციალური მონაცემებით, თურქეთში ამჟამად 1 მილიონზე მეტი სავსებით უმუშევარი ითვლება. სინამდვილეში მათი რიცხვი აღწევს უფრო მეტია ფარული და სეზონური უმუშევრობის ხარჯზე, იუწყება რეიტერის საგაზეთო სტამბოლიდან.

□ კენიის წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა პრემიერ-მინისტრის ჯომო კენიატას წინადადება იმის შესახებ, რომ კენია გახდეს ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის წევრი დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მიმდინარე წლის 12 დეკემბერს.

□ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საგანგებო თათბირი. ეს თათბირი განიხილავს ამერიკის კონტინენტზე ეგრეთწოდებულ „წარმომადგენლობითი დემოკრატიის“ განმტკიცების საკითხს. ვარაუდობენ, რომ თათბირს ექნება კუბის საწინააღმდეგო მიმართულება. იგი გაიმართება დეკემბრის დამლევს ვაშინგტონში.

□ ინდოეთის მთელ რიგ შტატებში მძვინვარებს ქოლერის ეპიდემია. ოთხი თვის მანძილზე საშინელმა ავადმყოფობამ ბიჰარის, დასავლეთ ბენგალიისა და მაჰარაშტრას შტატებში 2.500-ზე მეტი ადამინი იმსხვერპლა. (საკადესი).

ᲛᲝᲔᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ?

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 14 ნოემბერი. (საკადესი). შეერთებული შტატები ხელს უშლიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVIII სესიის მეურვეობის კომიტეტის მუშაობას, რომელიც იხილავს საკითხს პორტუგალიის კოლონიებში ამჟამად არსებული მდგომარეობის შესახებ.

კომიტეტის საღამოს სხდომაზე ამერიკის წარმომადგენელი „სერიოზული შედეგებით“ ემუქრებოდა სალაზარის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის თვალსაჩინო მოწინააღმდეგეს ენრიკო გალვაოს, თუ მან გაბედა ბრაზილიიდან ნიუ-იორკში ჩამოსვლა, რათა გააცნოს კომიტეტს თავისი შეხედულებანი განსახილველ საკითხზე.

როგორც ცნობილია, 1961 წლის იანვარში გალვაომ მომხრეთა ჯგუფთან ერთად კარიბის ზღვაში გაიტაცა პორტუგალიის გემი „სანტა-მარია“, რათა მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება მიეპყრო პორტუგალიის კოლონიების მკვიდრი მოსახლეობის მძიმე მდგომარეობისათვის. სალაზარის მსაჯულებმა დაუსწრებლად მიუსაჯეს გალვაოს 18 წლის პატიმრობა.

ამერიკის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თუ გალვაო ნიუ-იორკში ჩამოვიდა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიძლება შეუფარდოს ამერიკა-პორტუგალიის შეთანხმება დამნაშავეთა გადაცემის შესახებ.

ამერიკის წარმომადგენლის განცხადებამ აღშფოთება გამოიწვია აფრიკის დელეგატებში, რომლებმაც სამართლიანად დაახასიათეს იგი, როგორც დარღვევა 1947 წლის შეთანხმებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ბინის შესახებ.

მუქარა, რომელსაც ეს განცხადება შეიცავს, ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ს. ა. აზიმოვმა, შეიძლება შეავფასოთ მხოლოდ როგორც აშკარა უარის თქმა ვალდებულებებზე, რომლებიც ამერიკის მთავრობამ იკისრა შეთანხმებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ბინის შესახებ და როგორც დაბრკოლებების შექმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მუშაობისათვის.

ᲰᲐᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 14 ნოემბერი. (საკადესი). კონსერვატორების მთავრობამ დღეს გამოაქვეყნა პირველი კანონპროექტი პარლამენტის ახალი სესიის „გახსნის შემდეგ. მეტად დამახასიათებელია, რომ იგი ეხება საბინაო მშენებლობას, რადგან საცხოვრებელი სახლების კატასტროფული ნაკლებობა და საბინაო მშენებლობის ტემპის შენელება იმის ერთ-ერთი მიზეზია, რომ კონსერვატორთა მთავრობა სულ უფრო არაპოპულარული ხდება.

ახალი კანონპროექტი საბინაო მშენებლობის შესახებ ითვალისწინებს სპეციალური კორპორაციის შექმნას, რომელსაც ექნება 100 მილიონი გირვანქა სტერლინგის ფონდი. კორპორაციამ ხელი უნდა შეუწყოს საცხოვრებელი შენობების მშენებლობას.

მაგრამ კანონპროექტი ჰაერშია გამოკიდებული. საქმე ის არის, რომ იქ არაფერია ნათქვამი განაშენიანებისათვის ნაკვეთების მიცემის შესახებ, რომელთა ფასები განუწყვეტლივ იზრდება მიწის მესაკუთრეთა და სპეკულანტთა თვითნებობის შედეგად. მთავრობის ამ დიდ შეცდომას აღნიშნავს გაზეთი „გარდიანი“.

ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲡ — ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲧᲣᲓᲠᲝᲔᲑᲐ!

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 14 ნოემბერი. საკადესის კორესპონდენტი ლ. ბობროვი იუწყება:

„ორი მეზობელი სახელმწიფოს მეგობრულ ურთიერთობაში გადაიშლება ახალი ფურცელი, — წერს, კერძოდ, გაზეთი „მეჰრე ირანი“. — ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვინდა ერთხელ კიდევ ხაზი გავუსვათ იმას, თუ რა სარგებლობა მოაქვთ ორივე ქვეყნისათვის თანამშრომლობასა და მეგობრობას. ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა დიდი ხანია მიაქცეს ყურადღება იმ ფაქტს, რომ თუ ირანისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა განმტკიცდება საერთო საკითხების გადაჭრაში, მეგობრობის, თანამოქმედებისა და თანხმობის მიმართულებით, ეს ხელსაყრელი იქნება ორივე მხარისათვის“.

გაზეთი იმედს გამოთქვამს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი თეირანში და მისი შეხვედრა ირანის შაჰთან და სახელმწიფო მოღვაწეებთან „ჩინებულ შედეგს“ მოიტანს.

გაზეთი „ეთვალადე მელი“ აცხადებს: „სულით და გულით მივესალმებით ბრეჟნევის ვიზიტს ირანში. ვიცავთ რა ირანელთა ძველ ტრადიციებს, რომ პატივი ვცეთ სტუმარს, მით უფრო ისეთი დიდი ხალხის წარმომადგენელის, როგორიც საბჭოთა ხალხია, ჩვენ ვამბობთ: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! მოხარული ვართ ვნახოთ, გხედავდეთ ჩვენს ქვეყანაში, სახლში თქვენ, თქვენი ხალხის მეგობრობისა და ჰუმანურობის მაუწყებელს. იმედი გვაქვს, რომ კარგად იგრძნობთ თავს ირანში“.

11 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲞᲔᲠ ᲛᲔᲣᲚᲔᲠᲣᲞᲐ. ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ „ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ „ᲜᲘᲣᲘᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲐᲮᲠᲘᲗ — ᲐᲛ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲪᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: როგორ აფასებთ დანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას ამჟამად და როგორია, თქვენი აზრით, პერსპექტივები ამ ურთიერთობის განვითარებისა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე?

პასუხი: ჩემი აზრით, დანიასა და საბჭოთა კავშირს შორის არ არსებობს რაიმე პრობლემა, რომელსაც შეეძლოს ხელი შეუშალოს იმ მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, რაც უკვე ჩამოყალიბდა ჩვენს ორ ქვეყანას შორის. მართალია, უნდა ვაღიაროთ, რომ დანიისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა თვალსაზრისები ყველა პუნქტში როდი ემთხვევა ერთმანეთს. ამაში არაბუნებრივი არაფერია. ჩემთვის გადამწყვეტია ის, რომ ჩვენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ემყარება ურთიერთგაგებას და უკვე არსებული ურთიერთობის განმტკიცების სურვილს. ამ დარგში ახლანდელი განვითარება, ჩემი აზრით, მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებში პრაქტიკული თანამშრომლობის განგრძობის კარგი საფუძველია.

დაახლოებით ერთი წლის წინათ, როცა მოსკოვში გაემგზავრა ჩემი კოლეგა — კულტურის მინისტრი, დაიდო დანია-საბჭოთა კავშირის შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს დანიელ ხალხსა და საბჭოთა ხალხს შორის ურთიერთგაგებას და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას. იმედი მაქვს, რომ ჩემი ვიზიტის დროს მოხერხდება დაიდოს ახალი სავაჭრო შეთანხმებანი ჩვენს ორ ქვეყანას შორის. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის კარგი ურთიერთობის განვითარება შეიძლება განგრძობილ იქნას სულ უფრო გაფართოებულ საფუძველზე.

კითხვა: როგორია, ბ-ნო მინისტრო, თქვენი დამოკიდებულება „განიარაღების სასარგებლო ფორუმია“ განიარაღების პრობლემების შემდგომი განხილვისათვის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ განიარაღების დარგში ნაწილობრივ ღონისძიებებს შეუძლიათ გზა გაკაფონ უფრო ვრცელი შეთანხმებისათვის. ასეთი გზით, კერძოდ, შეიძლება მივიღოთ სასარგებლო გამოცდილება იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება საყოველთაო განიარაღების შესახებ. ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ ასეთი ნაწილობრივი ღონისძიებანი ხორციელდებოდეს ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია. ამ მხრივ ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი შეწყვეტის შესახებ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ავტომანქანები — ლატარიით!

თბილისის მსუბუქი ავტომობილების მაღაზიიდან „ბელნიერებს“ ყოველდღე გააქვთ ლატარიის 30-კაპიკიანი ბილეთებით მოგებული ავტომანქანები „ვოლგა“, „მოსკვიჩი“ და „ზაპოროჟეცი“.

ამას წინათ თბილისელმა სოსო სოსელიამ მიიღო ლატარიის ბილეთით მოგებული ავტომანქანა „ვოლგა“, თბილისელებმა მამია ორჯონიკიძემ, გიორგი გოდერძიშვილმა და ლილი გუგუშვილმა — ავტომანქანები „მოსკვიჩი“.

სოფელ ასურეთის მცხოვრებმა ეორეკ გურგენიძემ და ქუთაისელმა ილია ბუზიაშვილმა მიიღეს ავტომანქანები „მოსკვიჩი“.

20 ნოემბერს სიღნაღში გაიმართება საქართველოს სსრ 1963 წლის ფულისა და ნივთების ლატარიის (მერვე გამოშვება) მოგებათა მორიგი ტირაჟი.

სავაჭრო ორგანიზაციებმა ტირაჟისათვის უკვე გამოუყვეს ლატარიაში გასათამაშებელი მაღალი ხარისხის საქონელი.

მერვე გამოშვების ლატარიის ბილეთები წარმატებით იყიდება.

ა. შტეინბერგი.

სასიხარულო სიახლენი

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ამ დღეებში აქ სახელმწიფო ვეთარებაში გაიხსნა ახალი ორსართულიანი საბავშვო ბაღი 100 ბავშვისათვის.

ამ შენობაში 4 სამეცადინო ჯგუფია. თითო ჯგუფისაკენ 5 ოთახია განკუთვნილი. აქ არის აგრეთვე მუსიკალური მეცადინეობის დარბაზი, საძინებელი ოთახები და სხვ.

ზუგდიდის რაიონში ლია ერთ-ერთი კეთილმოწყობილი და ლამაზი სოფელია. ახლა იგი კიდევ უფრო დაამშვენა კოლმეურნეობა „თბილისის“ მიერ აშენებულმა ორსართულიანმა კულტურის სახლმა. შენობის მეორე სართული დაეთმო თვით კოლმეურნეობის კანტორას, ხოლო პირველი სართული მთლიანად დათმობილი აქვს კლუბს.

სურათებზე: ზემოთ — ახალი საბავშვო ბაღის შენობა; ქვემოთ — ლიის კულტურის სახლი.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.



ქართველ მულტიპლიკატორებთან

ქართულმა მულტიპლიკაციურმა ფილმებმა საყოველთაო აღიარება ჰპოვეს როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მაგალითად, რეჟისორ ვ. ბახტაძის ფილმებმა „ხელმარჯვე ოსტატმა“, „საყვარის შემდეგ“, „ყურშაპ“ სპეციალურ პრიზებსა და საერთოდ მაყურებლის მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

რაზე მუშაობენ ამჟამად ქართველი მულტიპლიკატორები? ამ მიზნით მულტ-ფილმების სტუდიას ვეწვიეთ.

„**ნარცისი**“ — ასე ჰქვია ახალ ნახატ ფილმს, რომელზეც რეჟისორი ვ. ბახტაძე მუშაობს. საინტერესოა ფილმის სიუჟეტი. იგი ბერძნულ ლეგენდაზეა აგებული.

მინიატიურული ანტიკური ვაზიდან გადმოდის მომხიბლავი მზეპაუპუკი ნარცისი, რომელიც გრძნობს თავისი სილამაზის მომჯადოებელ ძალას და ეგოისტური ამპარტავნობით უარყოფს თვით მშვენიერი ექოს სიყვარულს. ეკო ამ სიყვარულს ეწირება. განრისხდება აფროდიტა, ამურს უბრძანებს სიყვარულის ისრით დაისროს ნარცისის გული და მაშინ, როცა ნარცისი თავის სხეულით ტკბება მოლიელიგი ტბაში, ამური თავის მისიას შეასრულებს. ნარცისი იღუპება. შემდეგ ეკრანზე გაცოცხლდებიან ნარცისის სხვადასხვა ეპოქის პროტოტიპები. თანამედროვე ნარცისი კოპწიად ჩაცმულ ფუქსავატ ჭაბუკად მოგვევლინება. ჩვენს ეპოქაში ეგოისტ, თავის თავში შეყვარებულ ნარცისებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ. და იგი მარცხდება, ცხოვრებაში დამარცხებული ნარცისი მიდის, უბრუნდება ანტიკურ ლარნაკს, ქვავდება და მხოლოდ მისი სილუეტი რჩება ეკრანზე. ანტიკურ ლეგენდაში, ე. ი. ფილმის პირველ ნაწილში მხოლოდ სილუეტები მოძრაობენ, მეორე ნაწილში — მკვეთრი ნახატები. ეს საინტერესო დეტალია და რეჟისორის ორიგინალურ მიგნებაზე მეტყველებს.

ამ ფილმის საკმაოდ დიდი ნაწილი უკვე გადაღებულია.

მალე იბილავს მაყურებელი აგრეთვე „**ქოთნის დღეობას**“, რომლის რეჟისორია ო. ანდრონიკაშვილი, მხატვარი — ნ. შალიკაშვილი, ფონების მხატვარი — მ. მალაზონია. ფილმის „პერსონაჟებია“ ქართული მარნის მეკვლე სურა და ჭინჭილა, დოქი და ქვევრი, ყანწი და ხელადა, რომლებსაც საინტერესო ისტორია გადახდებათ თავს.

ქართველ მულტიპლიკატორთა შემოქმედებით სახელოსნოში დაძაბული მუშაობაა და რამდენიმე მათი ნამუშევარი ამ მოკლე ხანში მიიღებს ეკრანზე გასაშვებ „ვიზას“.

ნანა ჯაფარიძე.

ტორფი — წყლიდან

ტექნიკის სიახლენი

პალიასტომის ტბის მიდამოები არა მარტო ხე-ტყის დამზადებისა და თევზის ჭერის მთავარი ბაზაა კოლხიდის ზონაში, არამედ იქ ტორფის მოპოვება-დამზადებაც მზარდი მასშტაბით წარმოებს. თითქმის ყოველდღე ბუქსირზე აყვანილ კარჭაპებს მოაქვთ კარიერებიდან მექანიზებული წესით ამოღებული ტორფი, რომელიც ქარხნის სამრობ მოედნებზე სათანადო გადამუშავების შემდეგ იგზავნება დასავლეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რაიონებში როგორც შესანიშნავი ბუნებრივი სასუქი.

უკანასკნელ ხანებში ტორფის საკარიერო ბაზაში სიახლე დაინერგა. ტორფის ამოღება დაიწყეს წყლის ფსკერიდანაც. ეს მეტად ეფექტური საშუალება განხორციელდა ტორფის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის მეცნიერ-კონსტრუქტორთა და ფოთის ტორფისა და ჰიდრომექანიზმების ქარხნების ინჟინერ-სპეციალისტთა ერთობლივი მუშაობის შედეგად. ამ საკითხზე ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვა ეთქვა ინსტიტუტის მთავარ კონსტრუქტორს ვ. ბ. ლიხაჩოვს.

— ტორფის მომპოვებელი მანქანები, რომელნიც მსოფლიოს მეტ წილ ქვეყნებს აქვთ, ფოთის პირობებისათვის გამუსაღგარი იყო. ამიტომ ჩვენ უნდა შეგვექმნა სრულიად ახალი კონსტრუქციის მანქანა, რომელიც დიდი სიღრმიდან ამოიღებდა ტორფს ოთხ წლის დაძაბული შრომის შედეგად უკვე გვაქვს მანქანები, რომელნიც ჰიდრომექანიზმების ქარხანაში ავაგეთ. საწარმოო გამოცდამ ჩინებული შედეგები მოგვცა. თვითეული მანქანა მილსადენის საშუალებით ტორფს 5-6 კილომეტრზე აწვდის, რაც გამორიცხავს მის ტრანსპორტირებას კარჭაპებით და, რაც მთავარია, იძლევა დიდ ეფექტს — ერთ საათში ამოაქვს 300 კუბმეტრი ნედლეული.

საინტერესოა თვით ეს პროცესი: ტბის ზედაპირზეა მრავალჩამჩიანი მცურავი ექსკავატორი, რომელიც ხომალდს ჰგავს. ამუშავდება მექანიზმები, და ხორთუმიანი ჩამჩები წყლის ფსკერზე ეშვება. რამდენიმე წუთის შემდეგ ტორფით სავსე ჩამჩები ერთმანეთის მიყოლებით წყლის ზედაპირზე ამოტივტივდებიან და ტვირთი სწრაფად ჩაიცლება რეპარატორში, რომელიც ნედლეულს ზედმეტ მასას ჩამოაცილებს და გაწმენდილ ტორფს ტუმბოში გადაუშვებს. აქედან კი ტორფი ტიტივაზე მოწყობილი ლითონის მილების გრძელი გზის გავლით განმანაწილებელ აგრეგატში ხვდება. რომელიც ტორფის ნედლ მასას სპეციალურად გამართულ პოლიგონზე გასახმობად ერთ მეტრ სისქეზე ანაწილებს.

დიდი წარმადობის ამ ახალი მანქანების საშუალებით მალე გაჩაღდება ტორფის ფართო მასშტაბით ამოღება-გადამუშავება.

კ. კომახიძე.

მკითხველთა კალმით

□ **ბათუმის** ლენინის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის აქტივისტებს მეგობრული ურთიერთობა აქვთ ლენინგრადელ პიონერებთან.

ბათუმელი პიონერები ამ დღეებში ეწვევნენ ლენინგრადელ თანატოლებს. სტუმრებს დაათვალიერებინეს რაიონის ღირსშესანიშნაობანი, ესაუბრნენ თავიანთ საქმიანობაზე.

საღამოს თეატრში წარმატებით გამოვიდა ბათუმის პიონერთა ქოროგრაფიული ანსამბლი „გაზაფხული“.

ნ. პავლოვა.

□ **პანკისის** ხეობის მშრომელები ხშირად იკრიბებიან სოფელ ჯოყოლოში (თელავის რაიონი), ისმენენ ლექციებს-მოხსენებებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. სახალხო უნივერსიტეტის ერთი მეცადინეობა ქართული ხალხური შემოქმედების განვითარების გზებსა და ქართულ საგმირო ეპოსს დეთმო.

ამ თემაზე ლექცია წაიკითხა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მ. ჩიქოვანმა. დოცენტმა ი. ლოლაშვილმა ლექცია წაიკითხა თემაზე — „შოთა რუსთაველის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

ა. სპარსიაშვილი.



დნეპრი დონბასში მივა

შემოდგომის ამ დღეებში დონბასში, ნიკოტოკა-კრასნი ლუჩის 120-კილომეტრიან ტრასაზე ნახავთ მომუშავე გეოლოგთა, ტოპოგრაფთა, ჰიდროლოგთა ჯგუფებს. ესენი სრულიად საკავშირო ინსტიტუტ „გიდროპროექტის“ უკრაინის განყოფილების — „უკრგიდროპროექტის“ მაძიებლები არიან. მათ გაჰყავთ ტრასა მომავალი ახალი არხისა, რომლითაც დნეპრის წყალი დონბასში მივა.

რით არის გამოწვეული ახალი სანაოსნო არხის — დნეპრ-დონბასის არხის შექმნის საჭიროება?

— უკანასკნელ წლებში, — უამბო საგენტო „ახალი ამბების“ კორესპონდენტს „უკრგიდროპროექტის“ მთავარმა ინჟინერმა ეფიმ ბაკშეევმა, —მნიშვნელოვნად გაფართოვდა საბინაო მშენებლობა, შეიქმნა ახალი ქალაქები, დაბები. გადიდდა ქვანახშირის, ლითონის, მანქანათმშენებლობის, დიდი ქიმიის მხარის სამრეწველო ბაზაც. ბუნებრივია, საჭირო გახდა ფიქრი დონბასის წყალმომარაგების გაუჯობესებაზე. მას შემდეგ, რაც მწყობრში ჩადგა კრასნი ოსკოლის წყალსაცავი, ჩრდილოეთ დონეც-დონბასის არხი, დონბასის წყალმომარაგება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. და მაინც ეს ცოტაა. საჭირო გახდა დნეპრის წყალი. სწორედ დნეპრ-დონბასის ახალი არხის პროექტზე მუშაობს ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივი.

ეფიმ ბაკშეევი არხის მომავალი ტრასის რუკასთან მიდის. არხი იწყება დნეპროძერჟინსკის წყალსაცავთან, მდინარე ორელის რაიონში. აქედან დნეპრის წყალი აიწევს ტრასის მაღალ ნიშნულზე — ხარკოვის ოლქის ქალაქ ლოზოვაიამდე. შემდეგ ჩავა ორი მიმართულებით: მდინარეებით ბრიტაითა და ბერეკათი ჩრდილოეთ დონეცში, რათა გაადიდოს მისი წყლის ბალანსი, და დონბასში, მის ცენტრალურ რაიონებში.

მთავარი ინჟინრის საჩვენებელი ჯოხი არხის მომავალ ტრასას მიჰყვება. ნიკიტოვკის რაიონში დნეპრის წყალი გადაკვეთს ჩრდილოეთ დონეც-დონბასის არხს და გადაუზვავს კრასნი ლუჩის, როვენკის, ოუზის სხვა რაიონების მიმართულებით. 600 კილომეტრზე მეტი სიგრძისა იქნება არხი და მისი განშტოებანი. მის ტრასაზე 17 სატუმბავ სადგურს ააგებენ. ეს სადგურები დნეპრის წყალს დონბასში მიიყვანენ და დნეპროძერჟინსკის წყალსაცავის დონეზე 250 მეტრით მაღლა ასწევენ.

— ახლა ჩვენ ვადგენთ არხის ნიკიტოვკა-კრასნი ლუჩის 120 კილომეტრი სიგრძის უბნის საპროექტო დავალებას, — ამბობს ეფიმ ბაკშეევი. — შემდეგ კი შევუდგებით არხის მთავარი უბნის დაპროექტებას — დნეპრიდან ლოზოვაიამდე და სხვ.

მძლავრი მდინარის წყალი მნიშვნელოვნად გაადიდებს დონეცის აუზის ქალაქების, დაბების, სამრეწველო საწარმოების წყლის ბალანსს და მორწყავს ხუთი ოლქის 400 ათას ჰექტარზე მეტ მიწას, სადაც მეცხოველეობის, მეპოსტნეობა - მეკარტოფილეობის მსხვილი მეურნეობანი შეიქმნება.

ახალი არხის ნაპირებზე გაჩნდება ტურისტული ბაზები, დასასვენებელი სახლები, საწყლისნო სადგურები. პლაჟები, გაიზრდება ტყის ახალი მასივები, გამდიდრდება დონეცის მხარის ფლორა და ფაუნა.

ნ. ნესვიტენკო.



ახალი ცნობები ახალ ვარსკვლავებზე

ახალი ვარსკვლავები ოდითვე იქცევდნენ შეცნიერთა ყურადღებას. რამდენიმე დღის, ზოგჯერ მთელი კვირის განმავლობაში ისინი არღვევენ ასტრონომებისათვის ჩვეულებრივი ვარსკვლავებიანი ცის სურათს. შემდეგ მათი ბრწყინვალება თანდათან იკლებს და მალე ქრებიან. სინამდვილეში ეს ვარსკვლავები „ახლები“ არ არიან. ასეთ დროს თითქმის ყოველთვის „ახალი“ ვარსკვლავის ადგილზე ძველ ფოტოსურათზე აღმოაჩენენ ხოლმე სუსტად მოციალე ვარსკვლავს, რომელიც მხოლოდ ელეერ ტელესკოპში მოჩანს ხსვადასხვა მიზეზების გამო, რომლებიც ამ უკანასკნელ დრამდე გაურკვეველი იყო. ახალი ვარსკვლავები მოულოდნელად „ჩამოიცლიან“ თავიანთ გარეგან ფენას. ამ დროს ისინი საანის ბუმბებივით იბერებიან და ვარსკვლავის საერთო ბრწყინვალება სწრაფად მატულობს, ზოგჯერ ათეულათასჯერ.

იმ მიზეზის ასახსნელად, რომელიც ახალი ვარსკვლავის ანთებას იწვევს, ბევრი სხვადასხვა ჰიპოთეზა არსებობდა.

1954 წელს ამერიკელი ასტრონომის მერლ უოკერის აღმოჩენამ ბევრი მეცნიერი განაცვიფრა.

1934 წელს ჰერკულესის თანავარსკვლავედში ანთებულ ვარსკვლავზე (მას უწოდეს ჰერკულესის ახალი) დაკვირვების დროს მან აღმოაჩინა, რომ პერიოდულად — ყოველ 4 საათსა და 39 წუთში — ამ ვარსკვლავის ბრწყინვალება მცირე ხნით საგრძნობლად იკლებს. ეს მოვლენა კარგად იქნა ასტრონომების მიერ შესწავლილი ეგრეთწოდებულ დაბნელებულ ცვალებად ვარსკვლავებზე — ორი, ერთმანეთთან ახლოს მდებარე, ვარსკვლავის სისტემაზე დაკვირვების შედეგად ეს ვარსკვლავები სიმძიმის საერთო ცენტრის ირგვლივ მოძრაობენ. ყოველი შემოვლის დროს ერთი ვარსკვლავი მეორის წინ გაივლის, ფარავს მას. დედამიწიდან დამკვირვებლისათვის შუქმჩნეველ ხდის. ამით ბუნებრივია, სისტემის საერთო ბრწყინვალება მკვეთრად მცირდება. ჰერკულესის ახალიც ორმაგი სისტემისა აღმოჩნდა.

უოკერის აღმოჩენამ მოულოდნელი შეაქი მოპფინა მთელ ამ პრობლემას, და მართლაც, ვარსკვლავის პერიოდი — 4 საათი და 39 წუთი — ყველაზე ხანმოკლე იმ დროისათვის ცნობილთა შორის — მიუთითებდა სისტემის კომპონენტების ერთმანეთთან უჩვეულო სიახლოვეზე. ვარსკვლავთა სამყაროში ეს ძალიან იშვიათია: მხოლოდ ორი ვარსკვლავისათვის იყო ცნობილი ასეთი შედარებითი პერიოდები. ეს არ შეიძლებოდა უბრალო შემთხვევითობა ყოფილიყო „ფეთქად“ ვარსკვლავებზე დეტალურმა დაკვირვებებმა საბჭოთა ასტრონომს პროფესორ ბორის კუკარკინს საშუალება მისცა ვვარაუდნა, რომ ვარსკვლავების მჭიდრო ორმაგობა დამახასიათებელი თვისებაა ახლებისათვის და რომ სწორედ მასში უნდა ვეძებოთ მათი ანთების მიზეზები.

მიუხედავად ამისა, ეს ვარაუდი დიდხანს მხოლოდ გაბედული ჰიპოთეზად რჩებოდა. ამ ცოტა ხნის წინათ ჰიპოთეზა დამტკიცდა. ვარგრძელია რა ყოფილი ახალი ვარსკვლავების ბრწყინვალების გამოკვლევა, უოკერმა აღმოაჩინა, რომ 1896 წელს ანთებული — მეეტლის ახალი ვარსკვლავი „დაბნელებულ ორმაგს“ წარმოადგენს. მისი პერიოდი ძალიან ახლოს აღმოჩნდა ახალი ჰერკულესის პერიოდთან. ამერიკელმა ასტრონომმა რობერტ კრაფტმა და პოლონელმა ვიოცეტ კშემინსკიმ შენიშნეს, რომ რამდენიმე ვარსკვლავი, რომლებიც ახლების მონათესავენი არიან დაკვირვების შედეგად მათმა აღმოჩენილი მოვლენების მიხედვით. ასევე მჭიდრო ორმაგები არიან ეერიოდ. მათ აღმოაჩინეს. რომ განმეორებითი ახალი ისრის თანავარსკვლავედში (განმეორებითი ახლები, როგორც მისი სახელწოდება გვიჩვენებს, იმეორებენ ფეთქას რამდენიმე ათეული წლის შემდეგ) წარმოადგენს დაბნელების ცვალებადობას 81 წუთის პერიოდით. ეს უმოკლესი ორბიტული პერიოდია დღემდე ცნობილი სამყაროს ყველა პერიოდებს შორის. ამ ცოტა ხნის წინ კრაფტმა საბოლოოდ დაამტკიცა ვარაუდი ვარსკვლავების ორმაგობის შესახებ. მისმა სპეკტრულმა კამოკვლევებმა ერთბაშად სამი ვარსკვლავი შეიტანა ახლების სიაში. რომლებიც ორმაგ სისტემას წარმოადგენენ. ერთ-ერთ მათგანს — 1918 წელს ანთებული არწივის თანავარსკვლავედის ახალს ძალზე მოკლე ორბიტული პერიოდი აღმოაჩნდა — 3 საათი და 20 წუთი.

თუ გავითვალისწინებთ, იმას, რომ ყოფილი ახლები, რომლებიც საკმარისად ნათელია დეტალური გამოკვლევებისათვის, მთელ ცაზე მხოლოდ ორი ათეულია და თანაც მათი ორმაგობის აღმოჩენა ყოველთვის ვერ ხერხდება, ძნელია ეჭვი, შეეტანოთ ჩვენი მეცნიერის სამართლიან ვარაუდში.

რას წარმოადგენს თავისთავად ახალი ვარსკვლავების სისტემა? როგორც ჩანს, თვით ახალ („ფეთქებად“) ვარსკვლავს წარმოადგენს ორმაგი სისტემის ზომით პატარა და გაცილებით მხურვალე კომპონენტი. ასეთ მჭიდრო სისტემებში ხდება ნივთიერებათა განუწყვეტელი გამოდინება ცივი კომპონენტიდან და ცხელი ვარსკვლავის მიერ შთანთქმა. ეს არღვევს ახალი ვარსკვლავის სიმყარეს და ხდება მისი ფეთქა, რის შედეგადაც თავისუფლდება ენერგიის კოლოსალური რაოდენობა.

იური ეფრემოვი.



ორი გოლის ორი ქულა

ერევნის „არარატის“ სატურნირო მდგომარეობა კვლავ არასახარბიელო ა.

მას მეორე ქვეჯგუფში გადასვლა ემუქრება. მიუხედავად ამისა „არარატისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ გუშინდელ მატჩს ერევანში ფეხბურთის მრავალი მოყვარული ჰყავდა.

ამჯერად მასპინძლებმა გამოამეღავნეს ბრძოლის მაღალი ოსტატობა, კოლექტიურობა, სწრაფვა გამარჯვებისაკენ. შეხვედრის ბედი ფაქტიურად პირველ ტაიმში გადაწყდა. 35-ე და 42-ე წუთებზე სუპრიკიანმა და ანტონიანმა ორი ბეთრი გაიტანეს მეტოქის კარში.

მეორე ნახევარში გოლების რაოდენობა კიდევ უნდა გაზრდილიყო, მაგრამ კვასხვაძემ იხსნა კარი.

ანგარიში 2:0 უცვლელი დარჩა. ორმა გოლმა „არარატს“ ორი ქულა მოუტანა. ერევნელ ფეხბურთელებს კიდევ ორი მატჩი დარჩათ — მოსკოვში ადგილობრივ „სპარტაკთან“ და საკუთარ მოედანზე დონის როსტოვის სკა-სთან.

ფ. ჩიკვილაძე — ტურნირის გმირი

ჯაკარტის საერთაშორისო სპორტული ასპარეზობა, ანუ, როგორც მას უწოდებენ, განეფოს ტურნირი, მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. შეჯიბრებაზე წარმატებით გამოდიან სურ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. დამყარებულია მსოფლიოს ახალი რეკორდები.

დიდი გამარჯვება ხვდა ძიუ-დოისტთა შეჯიბრებაში საქართველოს მოჭიდავე ფ. ჩიკვილაძეს, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა.

საათეგის ჩართვის წინ

გუშინ ბაქოში საზეიმოდ გაიხსნა ჩვენი ქვეყნის ქალაქ მორიგი საკადრაკო ჩემპიონატი, რომელიც მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა შესარჩევ ტურნირსაც წარმოადგენს. შეჯიბრებაში გამოდის 20 მოჭადრაკე. მათ შორის არიან **ე. ბიკოვა, კ. ზვორიკინა, ბ. ბორისენკო, ა. კუშნირი, ტ. ზატულოვსკაია, ა. ჩაიკოვსკაია, ე. კაკაბაძე, ო. იგნატიევა** და სხვ.

მსოფლიოს ჩემპიონი **ნ. გაფრინდაშვილი** ბაქოს ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ე. ბიკოვა, ვ. ბორისენკო, და კ. ზვორიკინა პრეტენდენტთა ტურნირზე პერსონალურად არიან მიწვეული.

დღეს ჩემპიონატის მონაწილენი საათებს ჩართავენ. შედეგება პირველი ტური.

„სანტოსის“ რევანში

რიო-დე-ჟანეიროში „მარაკანას“ სტადიონზე გაიმართა საკონტინენტთაშორისო მატჩი ფეხბურთში ბრაზილიის საკლუბო გუნდ „სანტოსსა“ და იტალიის „მილანს“ შორის.

ბრაზილიელებმა რევანში აიღეს, გიმარჯვეს 4:2 ამრიგად, ორ მატჩში ბურთების შეფარდება გახდა 6:6, ამიტომ ამ გუნდებს მესამედ მოუწევთ შეხვედრა.

ზამთრის ოლიმპიადა ბაღანისის შესახებ

ქალაქ თბილისის გარნიზონის უფროსის ბრძანებით თბილისის გარნიზონის საჯარიო ნაწილები, დაწესებულებები და სამხედრო სასწავლებლები მიმდინარე წლის 18 ნოემბრიდან გადადის ტანსაცმლის ზამთრის ფორმაზე.

ორი მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში შეიდგა საკავშირო ჩემპიონატის მოოიგი მატჩები ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ქვეჯგუფის გუნდებისათვის.

ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი მოსკოვის **„სპარტაკი“** თამაშობდა საკუთარ მოედანზე აღა-ატის **„კაირატის“** წინააღმდეგ და გაიმარჯვა 2:0.

სეზონის ერთ-ერთ ცენტრალურ ასპარეზობაზ **არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა** და კიევის **„დინამოს“** გუნდების პაექრობა წარმოადგენდა. იგი დამთავრდა ცსკა-ს გამარჯვებით 3:2.

ღიღი შედგება კიევ სამი შეხვედრა. ყურადღების ცენტრშია მატჩი **მინსკში** ადგილობრივ დინამოელებსა და მათს **თბილისელ** თანაკლუბელთა შორის. შეუპოვარი ბრძოლაა მოსალოდნელი გათამაშების ლიდერ მოსკოვის **„დინამოსა“** და დედაქალაქის **„ტორპედოს“** შორის. მოსკოვის **ლოკომოტიველები** საკუთარ მოედანზე შეხვდებიან დონის როსტოვის **არმიის სასპორტო კლუბის** გუნდს.

ვინ გადავა „ა“ კლასში?

მეორე ეშელონის ფეხბურთელთა ასპარეზობა დასასრულს უახლოვდება. გამოვლენდნენ უკრაინისა და მოკავშირე რესპუბლიკების გუნდების ასპარეზობაში გამარჯვებულები, რომლებიც მომავალ წელს „ა“ კლასის მეორე ქვეჯგუფში ითამაშებენ.

ჯერ კიდევ არ გამოვლინებულა გამარჯვებული რსფსრ ფინალური ჯგუფიდან, სადაც ერთმანეთს პირველობას ეცილება ოთხი გუნდი — კალინინის **„ვოლგა“**, კიროვის **„დინამო“**, ივანოვის **„ზენტი“** და სერპუხოვის **„ვეზდა“**.

14 ნოემბერს „ვოლგასა“ და „დინამოს“ მატჩი ორჯონიკიძეში დამთავრდა ფრედ 2:2. დღესისთვის ლიდერია „ვოლგა“, რომელსაც 3 ქულა აქვს. 16 და 17 ნოემბერს გაიმართება უკანასკნელი მატჩები.

ისინი თბილისს ეწვევიან

ამას წინათ საბჭოთა კავშირში იმყოფებოდა იუგოსლავიის წყალბურთელთა ნაკრები კოლექტივი, რომელმაც წარმატებით ჩაატარა მატჩები. ამის შემდეგ მოსკოვში ჩამოვიდა იუგოსლავიის სტუდენტთა ნაკრები და 14 ნოემბერს შეხვედრა ჰქონდა დედაქალაქის „ბურევესტნიკთან“.

ბრძოლა შეუპოვარი იყო, მაგრამ ოთხმა პერიოდმა ისე განვლო, რომ მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — 0:0.

მორიგი მატჩები სტუმრებს ექნებათ ლენინგრად'ა და თბილისში.

ბულდოგებთან

ორი დღეა მოსკოვში იმყოფება კანადის ჰოკეისტთა სახელმოხვეჭილი საკლუბო გუნდი „ვინძორ ბულდოგსი“. გუშინ სტუმრებმა სპორტის სასახლეში გამართეს პირველი საერთაშორისო მატჩი დედაქალაქის დინამოელებთან. თამაშისადმი ინტერესი უსაზღვრო იყო, რადგან კანადაში სწორედ ამ გუნდმა დაამარცხა ჩვენი ჰოკეისტები ანგარიშით 9:2.

გუშინდელ მატჩში დინამოელებმა სძლიეს მეტოქეს, გიმარჯვეს 4:3.

ბიცოცხლის ფასად

სოფელი ავაჩა (კამჩატკის ოლქი), 13 ნოემბერი (საკ. კორ.). პირველკლასელი სეროოკა დეკიტკინი თამაშით გაერთო და შეუმჩნევლად გაეინულ ტბაზე აღმოჩნდა. უცვე ყინული ჩატყდა და ბავშვი წყალში ჩავარდა...

მისი ყვირილი გაიგონა გზად მიმავალმა სეინერ „მეომრის“ მექანიკოსმა ანატოლი კუშნერმა, მან ზედი ტანისამოსი გაიძრო და წყალში გადაეშვა. ანატოლი ყინულს მიამტვრევდა და ისე მიუახლოვდა ბიჭუნას, ხელი ჩაავლო ბავშვს და ნაპირისაკენ გამოცურავ სცადა. ცდილობდა თავითა და მხრებით გაერღვია ყინულები. დაიკრა, სისხლი სდიოდა. სცადა ფეხზე დამდგარიყო, მაგრამ ფეხქვეშ დიდი სიღრმე აღმოჩნდა. ძალღონე კი ელეოდა...

ტბისკენ ხალხი გამორბოდა. წყალში გადაეშვა კამჩატკის სოფლის თევზსაჭერი სამომხმარებლო კოოპერაციის მძღოლი ალექსი ლიშჩუკი. ანატოლიმ, რომელსაც ბავშვი მაღლა ეჭირა ტბის ზედაპირზე, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და მოსახმარებლად გამოწვდილი ხელისაკენ უბიძგა მას. ყველამ, ვინც ნაპირზე იდგა, გაიგონა მისი უკანასკნელი სიტყვები: „ბიჭუნა გადაარჩინეთ!“ ლიშჩუკმა ბიჭი რომ გამოიყვანა, იქ უკვე აღარავინ ჩანდა.

გულადი მეზღვაური დაიღუპა, თავისი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა ბავშვი. ანატოლი კუშნერი 24 წლისა იყო. იგი კამჩატკაზე ჩამოვიდა უკრაინის ქალაქ ვინეოვოს საზღვაოსნო სკოლის დამთავრების შემდეგ.

ბრძოლა ხანძართან

ამას წინათ მახარაძის რაიონის კურორტ ბახმაროს სეზონური ვაჭრობის ფარდულში შუალამისას ელექტროსადენების მოკლე ჩართვის შედეგად ხანძარმა იფეთქა.

პირველად ხანძარი კურორტ ბახმაროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შტაბის უფროსმა ე. კუტუბიძემ, პოლიკლინიკის გამგემ დ. ტრაპაიძემ და მედიცინის მუშაკმა გ. ჭავჭანიძემ შენიშნეს.

...შეგროვილნი ერთიანი ძალით ეკვეთნენ ხანძარს., ყოველი ღონე იხმარეს—ქიმიური ცეცხლმაქრობლები, წყალი, ქვიშა. მაგრამ ყოველი ცდა ამაო იყო, ცეცხლის ალში გახვეული ხის ფარდული გიზგიზებდა. ფარდულს გარშემო ესაზღვრებოდა: ავტოსადგურის შენობა, კავშირგაბმულობის, ფიზკულტურის ქუჩაზე გახლგებული-ასობით საცხოვრებელი ბინები, კურორტ ბახმაროს სეზონური ვაჭრობის კანტორა და სხვა ნაგებობანი, ხანძარი ყოველ წუთს შეიძლებოდა მათზე გადასულიყო.

ამიტომ შემთხვევის ადგილზე მისულებმა: ე. კუტუბიძემ, დ. ტრაპაიძემ, ა. ჯინჭარაძემ, გ. ანთიძემ, გ. ჭავჭანიძემ, ს. უნგრაძემ, გ. კვირკელიძემ და სხვებმა საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით გადაწყვიტეს რადაც უნდა დასჯდომოდათ ჩაეკრთო ხანძარი.

ადამიანები თავგამოდებით ებრძოდნენ ცეცხლს და ერთობლივმა მოდომებამ გაიმარჯვა. ხანძარი ჩააქრეს და სახალხო ქონება განადგურებას გადაარჩინეს.

შ. ვახრამოვი.

ჭელევიზია

16 ნოემბერი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — გადაცემა მოსწავლეთათვის „საოქტომბრო საჩუქარი“, 18.15 — კონცერტი ნატანების მოსწავლეთა თხოვნით, 18.30 — კინონარკვევი — „რენატო გუტუზო“, 18.40 — გადაცემა „ეროლიდან — „საინტერესოა ვიცოდეთ“ — „რატომ ვამბობთ ასე“, 18.55 — კინონარკვევი „სტრადივარიუსის ვიოლინო“, 19.05 — გადაცემა — „თეატრი და თანამედროვეობა“, 19.35 — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი —„ოგონიორი“, 20.10 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ტაძარი სატანისა“ (მესამე სერია), 21.40 — ახალი ამბები, 21.55 — საესტრადო სატელევიზიო ალმანახი — „სალაღობო“.

კომუნისტი

Комунисти
ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-94 03 8-08 67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, მრეწველობის — 8-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 8-22-89, სოფლის მეურნეობის — 8-32-48, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. დ. სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-85-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

1